ცხოვრებისეული მოვლენა ლია ცხელბოვრებისეული ეზოში - ლიდია ცხელბოვრებისა

სამეგრელო

№ 10 (35) 1.10-1.11. 2014 ფასი 2 ლარი ყოველთვიური გამოცემა

4
დუდუ დადიანი ჭეშმარიტი სპორტსმენის ტრაგიკული დასასრული

38
„იყო ასეთი ქალი“ – მერი

16
კარლო ნოდია უხმობდა მშობლიური სუჯუნის მიწა...

20
ედიშერ თოლორაიამ ლუკა ფარცვანიას ნარმატება მიულოცა

თემო სახურია
26
კოლხური ცივილიზაცია სამოქალაქო ცივილიზაციის სათავეებთან დგას

9
არქეოლოგიური აღმოჩენები „დიხაგუძუბას“ ტერიტორიაზე

ISSN 1987-8524

ოჩამჩირე...
რომან (დათო) ნარმანია
ცალვილიანი პოეზია
32

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჭყონდიდობა 2014 2
ჭყონდიდელი მღვდელმთავრები 3
ჭეშმარიტი სპორტსმენის ტრაგიკული დასასრული 4
ილია ქართული ერის შუბლი და სინდისი 6
არქეოლოგიური აღმოჩენები „დიხაგუძუბას“ ტერიტორიაზე 9
კარის ცხოვრება ზუგდიდში 10
პავლეს სარტყელი გარტყია წელზე 13
მეხუთე სიზმარი — გივი სიხარულიძე 14
მწვადიკა და წიწაკა — გივი სიხარულიძე 15
უხმობდა მშობლიური სუჯუნის მიწა, ზეცა კი ტიროდა 16
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური პირველობა მძლეოსნობაში 19
მუნიციპალიტეტის გამგებელმა ლუკა ფარცვანიას წარმატება მიულოცა 20
ძახველი 22
სასწაული გამოღვიძება 24
მეგრული პოეზია — გიგა ქავთარაძე 25
კოლხური თეთრი 26
სიკეთის ნერგი იხარებს 28
რეზო გაბისონიას ნაამბობი 30
რომან (დავით) ნარმანია 32
„სამეგრელოს ღირსშესანიშნაობები“ — დავით კიკოლაშვილი 36
„იყო ასეთი ქალი“-მერი 38
მატეანე 40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რეხვიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამფუძნებელი —
გოჩა გუტაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარშეიშვილი
ტექსტი ააწყო
თამარ გოგინაძე
მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი „სამეგრელოს“ ემიგრანტ მეგრელებს და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს - გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.
ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

ჯორნალიჯ

2014

მარტვილის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად ყოველი წლის 25 სექტემბერს წმინდა მეფის დავით აღმაშენებლისაღმზრდელისადავეზირთუპირველესის წმინდა მღვდელმთავრის გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ხსენების დღე „ჭყონდიდობა“ აღინიშნება. ეს დღე უჩვეულო ხალხმრავლობით გამოირჩევა, ამ საერო და საეკლესიო დღესასწაულში მონაწილეობენ საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის წარმომადგენლები, სტუმრები მეზობელი რაიონებიდან და ადგილობრივი მოსახლეობა.

2014 წლის 25 სექტემბერს მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში წირვა აღავლინა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა). ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს წმ. გიორგი ჭყონდიდელის ძეგლი. გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია. ქალაქის ცენტრში გაიმართა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები: მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატი, რაგბის, ლელოსა და ფეხბურთის ფესტივალი, ბაზიერთა სანახაობრივი გამოფენა, შეჯიბრება ჭადრაკში, შაშში, ნარდსა და მძლეოსნობაში, ამფითეატრის ტერიტორიაზე მოეწყო სასპორტო და საფეხბურთო სკოლების მიერ ჩატარებული ღონისძიებებისა და დაგეგმილი პროექტების პრეზენტაცია, რომელსაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი. პრეზენტაციაზე მინისტრმა პრიორიტეტად მარტვილში საფეხბურთო ბაზის რეკონსტრუქცია დაასახელა. პირველად მარტვილში, ჯომარდობის ფედერაციის წარმომადგენლების ინიციატივით მდინარე ტეხურაზე მოეწყო სლალომი და ჩატარდა ტურნირი, სადაც მონაწილეობდნენ ქართველი და უკრაინელი ჯომარდელები.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საგანმანათლებლო პროექტის „წიგნი ყველა სოფელს“ ავტორთა და მონაწილეთა მიერ წიგნები საზეიმოდ გადაეცა მარტვილის საჯარო სკოლებსა და ცენტრალურ ბიბლიოთეკას.

დღის ბოლოს ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა კონცერტი. მონაწილეობდნენ ქართველი მომღერლები: ანსამბლი გორდელა, მერაბ ნუცუბიძე, ოთო ნემსაძე, ალუდა თოდუა, ჯგუფი იბერია და მარტვილის კულტურის სახლთან ასრებული შემოქმედებითი კოლექტივების წარმომადგენლები. აქვე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მეგრული ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული კუთხე მოაწყვეს.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ მარტვილის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა სამ მარტვილელს: დამსახურებულ პედაგოგს ქალბატონ **მერი მარკოზიას**, ცნობილ ქართველ ფეხბურთელს **გოგა გახოკიძეს**, მეცნიერს **გია კვაშილავას** და მათ გადასცა სპეციალური სიგელები. ამ დღესთან დაკავშირებით მარტვილში იმყოფებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი**, სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორი **ლევან შონია**, გუბერნატორის მოადგილე **დავით სარსანია** და სხვა ოფიციალური პირები. სტუმრებმა მოინახულეს სოფელ სალხინოს საზაფხულო რეზიდენცია, სადაც გაიმართა სიმებიანი კვარტეტის კონცერტი.

ჭყონდიდელი მღვდელმთავრები

მარტვილის მონასტერი იყო კათედრა, ანუ, სამყოფელი სამეგრელოს მთავარეპისკოპოსისა, რომელსაც ეწოდებოდა ჭყონდიდელი. „ჭყონდიდი ძველი სახელია მარტვილისა და აქაური მთავარეპისკოპოსიც ამის გამო იწოდება ჭყონდიდლად... დიდი უფლება და პატივი ჰქონდა ჭყონდიდელს ძველ საქართველოში, იგი კათალიკოსის შემდეგ პირველი მთავარ ეპისკოპოსი იყო. ჭყონდიდელი იყო მწიგნობართუხუცესიც, ანუ განათლების მმართველი მთელს საქართველოში. იგივე ზრუნავდა ქვრივობლებზე და დევნილებზე და მოახსენებდა ხოლმე მათ გაჭირვებას მეფესა. როცა ქართველი ჯარი საომრად მიდიოდა, ჭყონდიდელი მათ ჯვრით წინ მიუძღოდა: ომის დაწყების წინათ დალოცავდა ჯარს, უკან დაიწევდა და ზურგის ჯარის უფროსობას კისრულობდა“ **(ი. გოგებაშვილი)**. ჭყონდიდელი მღვდელმთავრები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. გამოჩენილი სახელმწიფო და კულტურის მოღვაწე ჭყონდიდელები იყვნენ:

სტეფანე სანა ნოის ძე ჭყონდიდელი – *მეათე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერალი, ჰიმნოგრაფი, სასულიერო მოღვაწე, რომელსაც ეკუთვნის აბოსადმი მიძღვნილი ორიგინალური ჰიმნი და სტეფანე პირველმოწამისადმი მიძღვნილი საგალობლის თარგმანი.*

გიორგი ჭყონდიდელი – *დავით აღმაშენებლის დროინდელი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობართუხუცესი – ჭყონდიდელი, სათავეში ედგა მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებას (როგორც დღევანდელი პრემიერ მინისტრი). იყო მეფის აღმზრდელი და უერთგულესი მეგობარი. თანაავტორია ყველა იმ დიადი საქმისა, რაც დავით აღმაშენებელმა გააკეთა.*

სვიმეონი – *საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე XII ს. პირველ ნახევარში. ჭყონდიდელ–მწიგნობართუხუცესი, ბედიელ–ალავერდელი. ეკუთვნოდა დავით აღმაშენებლის მომხრეთა დასს. შირვანის აღების შემდეგ მეფემ საქმეთა გამგებლად იქ სვიმეონი დატოვა.*

ანტონ ჭყონდიდელ – *მწიგნობართუხუცესი – საქართველოს სამეფოს ვაზირთუპირველესი 1248 – 1256 წლებში. ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობის იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას, რომელთა მიზანი იყო დიდი ეკონომიური კრიზისის შენელება. მისი წინადადებით გაღარიბებულ მოსახლეობას დაურიგდა ეკლესიის კუთვნილი მიწების ნაწილი. მაგრამ ამის გამო მას გადაემტერნენ მაღალი წრეები და ცრუ ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს და გაუსამართლებლად ჩამოახრჩვეს.*

ანტონ ცაგარელ ჭყონ დიდელი – *საეკლესიო მოღვაწე. სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის ვაჟიშვილი. 1777 წელს დაინიშნა ჭყონდიდლად. ჭყონდიდლობდა 1788 წლამდე. ქართულ მწერლობაში ანტონი ცნობილია, როგორც გამოჩენილი მქადაგებელი, რომლის ქადაგებანი ძირითადად ზნეობრივი ხასიათისაა.*

ჭყონდიდის საეპისკოპოსოს მნიშვნელობაზე ნათლად მიუთითებს ის, რომ ერთიანი საქართველოს მეფემ, ბაგრატ IV-ემ თავის საძვალედ მარტვილი აირჩია. საქართველოს ყველაზე ღირსეულმა მეფემ – დავით აღმაშენებელმა კი ჭყონდიდის ეპისკოპოსი თავის პირველ ვეზირად დანიშნა.

1814 წელს ქართული ავტოკეფალური ეკლესიის გაუქმების შემდეგ, ჭყონდიდის საეპისკოპოსო, ისევე, როგორც მთელი საქართველოს ეკლესია, საქართველოს ეგზარქოსს დაექვემდებარა, მაგრამ 1917 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, განახლდა ჭყონდიდის ეპარქიაც. იგი ამჟამად მოიცავს მარტვილისა და აბაშის რაიონების ტერიტორიას.

ფაუსტ ნადარაია

ჯეუმპარიტი სპორტსმენის ტრაგიკული დასასრული

(1969-2002)



ვინ მოკლა დუდუ დადიანი

დავით (დუდუ) დადიანმა (1969-2002) – რობერტ დადიანისა და გურანდა ტყავაძის ვაჟმა და ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის, „დიდი" ნიკო დადიანის შთამომავალმა — სახელი კალათბურთელის პოზიციიდან გაითქვა. მას ორი დედმამიშვილი ჰყავდა: და მაკა და ძმა ლევანი. დავითს დედა ოთხი წლის ასაკში გარდაეცვალა და იგი მამამ და ბებიამ აღზარდეს. მთელი ცხოვრების მანძილზე მას უფრო „**დუდუს**" მეტსახელით იცნობდნენ.

დუდუ ბავშვობიდანვე სპორტით იყო დაინტერესებული. მან თავი ფარიკაობასა და ფეხბურთში მოსინჯა, ყმაწვილკაცობაში ნადირობამაც გაიტაცა. ნადირობის სიყვარული მას მთელი ცხოვრების მანძილზე არ განელებია. (ერთ-ერთი სანადირო ლაშქრობის დროს დუდუმ და მისმა მეგობრებმა, უნებლიეთ, აზერბაიჯანის საზღვარი გადაკვეთეს; ისინი მესაზღვრეებმა დააკავეს და რამდენიმე დღე იმამ შამილის ძველ კოშკში ჰყავდათ გამომწყვდეული, სანამ ნათესავებმა აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებს სიტუაცია აუხსნეს.) მაგრამ მის უდიდეს სიყვარულს მაინც კალათბურთი წარმოადგენდა. 9 წლის ასაკში ძმის წყალობით დუდუ პირველ საკალათბურთო მატჩს დაესწრო და მაშინვე ამ თამაშის მოტრფიალე გახდა.

მისი პირველი მწვრთნელი, თავადაც ცნობილი კალათბურთელი, **მიხეილ ზახალინი** გახლდათ. ზახალინმა შეამჩნია დუდუს ნიჭი და ურჩია, სპეციალიზებულ სკოლაში გადასულიყო, სადაც კალათბურთს უკეთ დაეუფლებოდა. სკოლაში დუდუს მწვრთნელი **შოთა იანქოშვილიც** აღფრთოვანებული იყო ბიჭუნას მონაცემებით და მასთან პერსონალურ ვარჯიშს დიდ დროს უთმობდა. შედეგად, დუდუს შესაძლებლობა მიეცა, ახალგაზრდულ გუნდ „მართვეში" ეთამაშა. ეს გუნდი საუკეთესო სტარტად მიიჩნეოდა ნორჩი კალათბურთელებისათვის, რადგან იქ მათ თავიანთი ნიჭის სრულად გამოვლენა შეეძლოთ.

1984 წელს, როდესაც დუდუ 15 წლის გახდა, იგი თბილისის 58-ე სპორტსკოლაში გადაიყვანეს, სადაც კალათბურთის გაკვეთილები სასწავლო პროგრამაში შედიოდა. სამი წლის შემდეგ, როდესაც დუდუ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, იგი უკვე საქართველოს საუკეთესო საკალათბურთო კლუბ „დინამოში" თამაშობდა. სკოლის დამთავრებისთანავე იგი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში იგი პროფესიონალ კალათბურთელად ჩამოყალიბდა.

1992 წელს, დუდუ გუნდ "ვითაში" გადავიდა,

დუდუ დადიანის მკვლელის ვინაობა დღემდე დაუდგენელია

რომელმაც იმ წელს, ისევე როგორც მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში, საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა. საქართველოში მოპოვებულმა წარმატებამ "ვითას" საშუალება მისცა, უცხოურ, მათ შორის საბერძნეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთისა და თურქეთის, გუნდებს შეხვედროდა. 1995 წელს დუდუ საქართველოს ეროვნულ ნაკრების წევრი და "ვითას" კაპიტანიც გახდა.

მთელი მისი კარიერის მანძილზე დუდუმ სახელი აგრესიული, ზოგჯერ უხეში, თამაშის სტილით გაითქვა, მაგრამ გულის სიღრმეში იგი ჭეშმარიტი სპორტსმენი იყო. მაგალითად, 1996 წელს, საბერძნეთთან მატჩის დროს დუდუს ძალისმიერმა სტილმა იგი მოწინააღმდგე გუნდის მოთამაშესთან ხელჩართულ ბრძოლამდე მიიყვანა. მაგრამ თამაშის შემდეგ მან ულამაზესი ქართული ხალიჩა იყიდა და ბერძენ მოთამაშეს სამშობლოში გამგზავრებამდე აეროპორტში საჩუქრად გადასცა.

დუდუს როგორც პროფესიონალი კალათბურთელის კარიერა ზენიტში იმყოფებოდა, როდესაც 1990 წელს საბჭოთა კავშირის დაცემამ საქართველოში უმწვავესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. დუდუმ რამდენიმე თვე შეერთებულ შტატებში გაატარა და შეეცადა, თავისი კარიერის აგება ამ მშფოთვარე მოვლენებისაგან მოცილებით გაეგრძელებინა. თუმცა მალე იგი საქართველოში დაბრუნდა, რადგან არ მოინდომა, რომ თავისი მეგობრები და გულშემატკივრები სწორედ მაშინ მიეტოვებინა, როდესაც ისინი მისგან გამხნევებას ელოდნენ.

1999 წელს 30 წლის ასაკში დუდუმ კალათბურთის თამაშს თავი დაანება და კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახდა; მას ეს თანამდებობა გარდაცვალებამდე, 2002 წლამდე, ეკავა. ფიზიკურად დუდუს კიდევ შეეძლო კარგად თამაში, მაგრამ გადაწყვიტა, რომ ახალ ამპლუაში ქართულ სპორტს უკეთესად დაეხმარებოდა. ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნისას, მან რამდენიმე პროექტი განახორციელა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვთა კალათბურთის პროგრამების ხელშეწყობა იყო. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ იგი კალათბურთის ტექნიკისა და საფუძვლების შესწავლას ფართო მეცნიერული პერსპექტივიდან მიუდგა და რელიგიისა და ფილოსოფიის საკითხებსაც ჩაუღრმავდა; მას განსაკუთრებით ბუდისტური ლიტერატურა იზიდავდა. განათლებული კოსმოპოლიტი დუდუ ფლობდა ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს.

დუდუ დადიანი 2002 წლის იანვარში, დღისით-მზისით, თბილისში სპორტის დეპარტამენტის შენობაში მოკლეს. ამ ბოროტმოქმედებას რამდენიმე თვითმხილველი შეესწრო, მაგრამ მკვლელი მიიმალა და მისი ვინაობა დღემდე დაუდგენელია. ოფიციალურმა გამოძიებამ დაასკვნა, რომ მკვლელობა დუდუსა და უცნობ მკვლელს შორის შელაპარაკების შედეგად მოხდა. თუმცა ამ ინციდენტის გარშემო უამრავი პასუხგაუცემელი შეკითხვა კვლავაც არსებობს. გავრცელდა ჭორები, რომ მკვლელობა შეკვეთილი იყო. ხოლო მოტივაციას დუდუსა და გათხოვილ ქალს შორის გაჩაღებული რომანი წარმოადგენდა.

დუდუს ხსოვნის პატივსაცემად საქართველოს სპორტულმა საზოგადოებამ "დუდუ დადიანის თასი" დააწესა, ხოლო ქართველმა მოქანდაკემ ლევან ვარდოსანიძემ დუდუს ქანდაკება შექმნა. ქანდაკებაში დუდუ კალათბურთელის ფორმაშია გამოსახული და ნომერი "13", რომლითაც იგი ყველა გუნდში თამაშობდა, მის ქანდაკებასაც ამშვენებს. დუდუს სპორტული ჯილდოები დადიანის სასახლე-მუზეუმს გადაეცა, ხოლო "დადიანების სასახლეების ფონდმა" მოაწყო გამოფენა, რომელზედაც დუდუს კოლექციიდან ამოკრეფილი მედლები, ფოტოები, პირადი ნივთები და ნახატები იყო წარმოდგენილი. სასახლე-მუზეუმის რემონტის დასრულების შემდეგ ეს გამოფენა ფართო საზოგადოებისათვისაც იქნება ხელმისაწვდომი.

ილია ქართული ერის შუბლი და სინდისი

ილია და თეატრი

მეტად საპასუხისმგებლო საქმეა, ისაუბრო ილია ჭავჭავაძის, "ქართული მწერლობის სამრეკლოს მნათეს", შემოქმედებით მემკვიდრეობაზე. ამაგდარი, მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის ღვაწლი ფასდაუდებელი და განუზომელია.

ბევრი თქმულა და დაწერილა ილიაზე, როგორც პოეტზე, მწერალზე, დრამატურგზე, ჟურნალისტზე, საზოგადო მოხელეზე, ერის მოძღვარზე ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე ილია ისე წინამძღვრობდა ქართველ ერს, როგორც მოსე-ეგვიპტიდან განლტოლვილ ებრაელებს.

არ დარჩენილა არცერთი სფერო, რომელსაც არ შეხებია ილია ჭავჭავაძის მახვილი მზერა და ცულზე უფრო მჭრელი კალამი. ილია ერთი და იგივე ენთუზიაზმით წერდა როგორც პოლიტიკაზე, სამართალზე, ისტორიაზე ,რელგიაზე, ეკონომიკაზე ,ასევე სწავლა-განათლებაზე, ლიტერატურაზე თუ ხელოვნების სხვადასხვა ვარიაციაზე.

ილიას მრავალმხრივი საზოგადოებრი მოღვაწეობის ერთ ასპექტზე მომიწია ყურადღების გამახვილება, კერძოდ, დავინტერესდი, თუ როგორი იყო მისი დამოკიდებულება მისი თანამედროვე დრამატული საზოგადოების და ზოგადად, ქართული თეატრის მიმართ.

ქართული თეატრი, ლაზარესავით არაერთხელ მკვდრეთით აღმდგარი, ერთ-ერთ წარმმართველ როლს ასრულებდა ერის სულიერი საზრდოს მოპოვების საქმეში. 1850 წელს გ. ერისთავის მიერ დაარსებული ქართული თეატრი, რომელიც ქართველებისათვის სატყუარა საკენკივით გადმოყარეს რუსმა ჩინოვნიკებმა, უდღეური აღმოჩნდა და მალევე, 1854 წელს, დაიხურა. ხანგრზლივი, უშედეგო მცდელობის შემდეგ, 1879 წელს ისევ განახლდა ქართული თეატრი. ამ ეროვნული საქმის სათავეში კვლავაც ილია ჭავჭავაძე მოგვევლინა, რომელმაც გარშემო შემოიკრიბა ისეთი ცნობილი რეჟისორები, როგორებიც იყვნენ გ. თუმანიშვილი, დ. ერისთავი, ნ. ავალიშვილი და ჩამოაყალიბა მუდმივი დასი.

ეროვნული წამოწყების განვითარების გზას ილია გულმოდგინედ ადევნებდა თვალს, ეხმიანებოდა კიდეც სპეციალური წერილებით. ქართული თეატრის ევოლუციის მთელი პერიპეტიებია ასახული ილიას ნაწერებში, სადაც რეცენზენტი ისეთივე პირუთვნელი და მიუკერძოებელია, როგორიც უნდა ყოფილიყო "ჩემო კალამოს" ავტორი.

ჯერ კიდევ 1879 წელს დაწერილ "შინაურ მიმოხილვაში" ილია საუბრობს ქართული ენის სავალალო მდგომარეობაზე, როცა ქართულად საუბარი ეთაკილება ე.წ. "მაღალ საზოგადოებას", რომელიც ამართლებს მოსწრებულად დამოწმებულ ანდაზას: "თევზი თავიდან აყროლდებაო". ილიას თანამეროვე ქართული საზოგადოების ლპობაც

ზედაფენიდან არის დაწყებული. სწორედ ასეთი სულიერი კრიზისის დროს ქართული მუდმივი დასის, ილიას სიტყვით "სამუდამო სცენის" დაარსება, ცის ნამივით იყო დამჭკნარი ყვავილისათვის ანუ თავგამომხმარი ქართული მეობისათვის.

ილიას აზრით, თეატრს ერის ცხოვრებაში უმთავრესი ფუნქცია აკისრია. თეატრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, თავშეყრისა და შთაბეჭდილებათა მიღება-გაცემის ადგილია, სადაც შესაძლებელი იქნება მშობლიური, შეჭირვებული ენის გადარჩენაც. თეატრი ის ადგილია, "საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალ-წინ ჩვენს ცხოვრებასა და მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა".

თეატრი უნდა იყოს შემეცნებით-გასართობი დაწესებულება, რომელიც არ უნდა გადაიქცეს "გულგარყვნილობის მოედნად", სადაც "სალახანური ელენები" იასპარეზებენ.

ილია ჯანსაღ და აუცილებელ ულტიმატუმს უყენებს თეატრს, რომელიც სკოლასთან არის გაიგივებული. მართლაც, თუ სკოლა მოზარდს გონებრივ საზრდოს აწვდის, თეატრიდან იღებს სულიერ საპოხს, რომლითაც ადამიანი ხდება იმაზე უკეთესი, ვიდრე ის თუნდაც თეატრში შესვლამდე იყო.

ერის ცხოვრებაში თეატრის აღდგენა ახალი სიტყვა იყო იმ დროს, როცა ეროვნული ცნობიერების გაღვიძების ნაკლები საშუალება არსებობდა, თუ არ ჩავთვლით იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებსაც ისევ ილია და მისი თანამოკლამეები დირიჟორობდნენ. ამიტომაც არის ილია ასე პედანტურად მომთხოვნი ერის კეთილდღეობისათვის წამოწყებული ყველა ინიციატივისადმი, მათ შორის თეატრისადმი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, წარმმართველ როლს უნდა ასრულებდეს და თუ ამას ვერ შეძლებს და "მიკიტანხანად გადაიქცევა, მაშინ სჯობს წაწყმდეს, ვიდრე სუფევდეს". არადა, ილიას ეიმედება, რომ ქართული თეატრი გაძლიერდება და ფრთებსაც გაშლის, რამეთუ მუდმივ დასს იმ დროისათვის მედროშედ ისეთი პორივნება მოევლინა, როგორიც დიმიტრი ყიფიანი იყო. ერის მამას აქაც არ უმტყუნა ალღომ.

სტატიათა ციკლში "შინაური მიმოხილვები", რომელთა საერთო სახელწოდებაა "საქართველოს მატიანე", რუბრიკების სახითაა წარმოდგენილი ილიას შთაბეჭდილებები ქართული თეატრის შესახებ. როგორც ცნობილია, ეს წერილები იწერებოდა 1879-1895 წლებში და მასში მკაფიოდ და ნათლად არის წარმოჩენილი თეატრის განვლილი გზა, მის ღირსება-ნაკლოვანებათა პირუთვნელი მხილებითა და ჩვენებით.

ილია ჭავჭავაძე თეატრის განვითარებას გულშემატკივარი ადამიანის ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალ-ყურს. მას არცთუ უსაფუძვლოდ ეშინია ქართველთა ჩვეული შურისა და გაუტანლობის, რომელიც "ბანკების ცნობილ საქმეს შეუდგა" და სათუოა თეატრსაც არ გადაედოს სახადივით.

რეცენზენტობა სამძიმო ხელობაა იმდენად, რამდენადაც "გარნა კაცი ყოველთვის კაცია და ქება, თუნდაც ტყუილი, სასიამოვნოა და წუნი, თუნდაც მართალი, საწყენია". მართალია, რომ რეზენზენტი "ავისა და კარგის საწყაოდ" ხელმძღვანელობს, პირველ რიგში, საკუთარი გემოვნებით, ე.ი. შეფასება რამდენადმე სუბიექტურია, თუმც ეს სუბიექტურობა გაწვრთნილი უნდა იყოს და შეძლებისდაგვარად მიუკერძოებელი.

1879 წლით დათარიღებულ "შინაურ მიმოხილვაში" ავტორი ეხება იმ რამდენიმე სპექტალს, რომელიც იმდროისათვის იქნა წარმოდგენილი. ესენია: ფრანგულიდან გადმოკეთებული კომედია "გევო, მინას და კამპანია", ვოდევილი "სხვა-გვარი სიყვარული" და მოლიერის კომედია "ეჭვით ავადმყოფი", რომელიც ივ. მაჩაბელს უთარგმნია. ილია დასახელებული პიესების მიმართ გარკვეულ შეფასებებს აკეთებს, რომელიც მკაფიოდ გვიხატავს მიუკერძოებელი კრიტიკოსის სახეს. ერთ-ერთი თვალშისაცემი ნაკლი ილიასათვის, რომელიც ახასიათებს ახლადფეხადგმულ თეატრს, ისაა, რომ მსახიობები ანუ "აქტიორები" როლებს ვერ სწავლობენ. ამ ნაკლის გამოსწორება კი, ილიას აზრით, რეჟისორის კომფიდენციაში შედის.

"ვის ნათესსა ვმკით?" წარმოადგენს 1879 წლის ზოგად მიმოხილვას. სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტებს შორის, რომელიც ამ წელს განვითარდა ერის მესვეურთა მიერ(სკოლის გახსნა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება) ილია ასახელებს ქართული თეატრალური დასის განახლების ფაქტსაც, რომელიც უდღეური წინამორბედის ღირსეული გამგრძელებელი გამოდგა.

იგივე პრობლემას, თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობის საკითხს ეძღვნება ამავე სახელწოდების წერილი "ქართული თეატრი და მაყურებელი'". ილიას გულწრფელად უკვირს: "ნუთუ ჩვენი საზოგადოება იმის წყურვილს მოკლებულია, რომ კვირაში ერთხელ თუ ორჯელ მაინც ერთს საჯარო ადგილას თავისი თავი ჰნახოს, ერთი-ორიოდ საათი მართალს

ადამიანურს სიამოვნებას მიეცეს და ცხოვრების საყოველთაო ჭუჭყს და ვალალებას ცოტას ხნობით მაინც თვალი მოაშოროს!...” მატერიალური პრობლემების მოხსნას ფასების დაკლებითა და დარეგულირებით ცდილობს. ასეთ ქმედებას, თუ შემოსავალი ვერ გაზარდა, ის პრივილეგია მაინც ექნება, რომ დარბაზი გაივსება და მაყურებელსაც და მსახიობებსაც “გულს გაუკეთებსო”, დასძენს ავტორი.

ცოტა მოგვიანებით, 1883 წელს დაწერილ “შინაურ მიმოხილვაში” ილია მსჯელობს ქართველთა “ყველაზე დიდ ნაკლზე”-უგერგილობაზე, რომელსაც თეატრი სავალალო შედეგამდე მიუყვანია. მიზეზთა მიზეზი კი ის არის, რომ ე.წ. “საზოგადოება” მარტოოდენ ყავარად, უფესვო ხედ ქცეულა, რომელიც ბოძებით არის გამაგრებული და მოსაჩვენებლად დგას ფეხზე.

ილია ჭავჭავაძე ეხება თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთ ნაკლს, „სათიატრო თხზულებების” სიმცირეს, ორიგინალური რეპერტუარის ნაკლებობას, თუმცა მრავლად მოიპოვება ნათარგმნი თუ გადმოკეთებული თხზულებები, რომელთა უმეტესი ნაწილი უგემოვნოა. ილია ახდენს ნათარგმნი და გადმოკთებული პიესების დეფინიციას და მართებულადაც. თარგმანის დროს მთარგმნელმა სხვისი ცხოვრება უტყუარად და შეუცვლელად უნდა გადმოგვცეს, ხოლო გადმოკეთებული პიესის ავტორს ნაწარმოებში კორექტურა შეაქვს, უცხო ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათს ნაცნობით ცვლის. “გადმოკეტებულსუფრო დიდი საგზალი უნდა, უფრო მეტი ღონე სჭირია. უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელსა. გადმოკეთებულს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელს და ამას გარდა თვით შემოქმედი ძალიც შემოქმედობისა”.

გარდა იმისა, რომ საუბრობს თეატრის შემეცნებით-გასართობ ფუნქციებზე, ეხება თეატრის რეპერტუარს, დრამატურგებს, ილია ასევე სწვდება რეჟისორისა და მსახიობების უფლება-მოვალეობებსაც, განიხილავს მათ ღირსება-ნაკლოვანებებს. მხოლოდ როლის გაზეპირება, რომელსაც თუთიყუშიც ახერხებს, არ მიაჩნია მსახიობის თვისებად. “თამაშობისათვის” საჭიროა ორი რამ: ბუნებრივი ნიჭი და წვრთნა. “ნიჭი და დახელოვნება განუჭრელი და-ძმანი არიან, აუცილებელი საჭიროებაც არის კარგის არტისტისათვის”.

იყო დრამატურგი-ეს ნიშნავს, რომ უდიდესი პასუხისმგებლობით ხარ აღჭურვილი. დრამატურგია უფრო სპეციფიკურია და ყველა სხვა პოეტური თუ პროზაული თხზულების შექმნაზე უფრო რთული. ძირითადი კრიტერიუმი დრამის ილიასეული შეფასებისა ის არის, რომ “უსათუოდ სულისა და გულის უდიდეს ძვრაზე უნდა იყოს აგებული” და ნაკლებად უნდა სარგებლობდეს გარეგნული ეფექტებით.

ილია ცდილობს დრამატურგიაშიც შეიტანოს რეალიზმის ელემენტები და აშკარად ილაშქრებს შეფერადებული სინამდვილის წინააღმდეგ (მას არაბუნებრივად და გადაჭარბებულად ეჩვენება ცაგარელის პიესაში “სამშობლო” და “ქართვლის დედა” ქართველების სრულყოფილ არსებებად, ხოლო მტრების კაციჭამიებად წარმოდგენა).

ილია პიესების არქიტექტონიკას ხატოვანი შედარებით წარმოგვიდგენს. როგორც გორგალი უნდა გამოხსნას ძაფის წვერმა, ასევე პიესის თვითეულმა მოქმედებამ - მისი იდეური შინაარსი, “გული დრამის” და თუ ეს გორგალი არ დაუხვევია სცენარისტს და რეჟისორს, მაყურებელთა მხრიდან ძაფის გრეხა ფუჭი საქმეა.

დიდია და ფასდაუდებელი ილიას ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი მუდმივი დასის დაარსების საქმისა, დრამატულისაზოგადოებისდამფუძვნებელთაგანი, მისი თავმჯდომარე და ქომაგი. მართალია, ილია ძალზე იშვიათად წერდა სპეციალურ პიესებს თეატრისათვის, რადგან ერიდებოდა ამ სპეციფიკულ საქმიანობას, თუმცა არაერთი მისი ნაწარმოები დაიდგა სცენაზე. ქართულ თეატრს თავის ყოველწლიურ რეპერტუარში შეჰქონდა ილიასტრაგედია“დედადაშვილი”,ასევეიდგმებოდა “გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები” ანუ “გლახა ჭრიაშვილი”. გარკვეულ ნაწრმოებებს რეჟისორები სპეციალურად სცენისთვის ირჩევდნენ და პიესის სახეს აძლევდნენ. მაგ, “გლახის ნაამბობიდან” შ. დადიანმა გადააკეთა პიესა “ბატონი და ყმა”.შ. დადიანის მიერვე დაიდგა “ჩატეხილი ხიდი” - “ოთარაანთ ქვრივიდან”. “დიმიტრი თავდადებულს” სასცენო სახე ნ. ერისთავმა მისცა. “კაცია-ადამიანიც” არაერთი პიესის წყარო გახდა (“ლუარსაბ თათქარიძე”, “მკითხავი”, “მაჭანკალი” და ა.შ.).

ილია ქართველი ერის შუბლი და სინდისია. ყავლგაუსვლელია და ფერუხუნარი მისი ღვაწლი და შემოქმედებითი მემკვიდრეობა. “წინ გატეხილი მშობლის შუბლია, თუ გაწეწილი წიწამურია?...” წინ ილიამდე მისასვლელი გზაა

მარი სადღოგელაშვილი

არქეოლოგიური აღმოჩენები „დიხაგუძუბას“ ტერიტორიაზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოხუმის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია და გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის არქეოლოგები სწავლობენ ძველ კოლხურ ნამოსახლარს, სახელწოდებით „ტაბაკონის დიხაგუძუბა“. არქეოლოგებმა მიაკვლიეს ხის ნაგებობათა ნაშთებს, რომელიც წინასწარული კვლევებით 4000–4500 წლისაა. კოლხური არქიტექტურის ნიმუშების აღმოჩენამ ერთი–ორად გაზარდა ამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მეცნიერული მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით, დღეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიზო სართანია ადგილზე გაეცნო საველე არქეოლოგიური კვლევების მიმდინარეობას და მხარდაჭერა გამოხატა პროექტის შემდგომი განხორციელების პროცესში.

მოპოვებული მასალები მუდმივმფლობელობაში გადაეცემა ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ–არქიტექტურულ მუზეუმს, ხოლო ცალკეული არტეფაქტების ნიმუშები შესწავლილ იქნება გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის სპეციალურ ლაბორატორიაში.

კარის ცხოვრება ზუგდიდში

ეკატერინე დადიანის ეპოქაში ზუგდიდის სასახლის კარი ცხოვრობდა განსაკუთრებული რეჟიმით, რომელსაც დედოფლისა და თავადის ჩათვლით, ყველა უნდა დამორჩილებოდა. ოფიციალური მმართველის ფუნქციებთან ერთად ეკატერინე დროის უდიდეს ნაწილს საჩივრების განხილვას უთმობდა. დადგენილი წესის მიხედვით, თავადის ქვეშევრდომებიდან ნებისმიერს შეეძლო მოსულიყო მასთან და საკუთარი ჭირ-ვარამი გაეზიარებინა, ხოლო ის ვალდებული იყო მოესმინა მომჩივანისათვის და მისი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.

საჩივრების განხილვა ორი ადმინისტრაციული განყოფილების (ქართული და რუსული) ფუნქციას წარმოადგენდა. ისინი სასახლის მახლობლად ცალკე შენობაში მდებარეობდნენ. საჩივრების გარდა ეს განყოფილებები მართავდნენ თავადის სახელზე მოსულ მთელ კორესპონდენციას, რომელშიც თბილისიდან გამოგზავნილი რუსი გუბერნატორის ცირკულარები და სხვა ოფიციალური დოკუმენტაცია შედიოდა.

კონსტანტინ ბოროზდინის ნაწერები ზუგდიდის რეზიდენციის ყოველდღიური ცხოვრების ცოცხალ სურათს წარმოგვიდგენს:

როდესაც დედოფალი სადმე მიდიოდა, მას ყოველთვის კარისკაცები ახლდნენ. კარისკაცების მეთაურის დაქვემდებარებაში რამდენიმე მსახური ირიცხებოდა. მათ მოსდევდათ სხვადასხვანაირ ტანისამოსში გამოწყობილი, იარაღასხმული კეთილშობილი წარმოშობის ყმაწვილკაცების მთელი ამალა. ამ ახალგაზრდებს შინაყმები ეწოდებოდათ და მთავრის მსახურებად ითვლებოდნენ. ორი მათგანი ყოველდღიურად მორიგეობდა და მათ მოვალეობას სტუმრებისა და მთხოვნელების შესახებ მოხსენება და მათთვის მთავრის ნების გადაცემა წარმოადგენდა. მათ მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე სუფრაზე თეფშების შეცვლა და ღვინის შემოტანა. ეს ყმაწვილები შესანიშნავად იყვნენ გაწვრთნილნი;

ისინი კარგი აღზრდით, სიჩაუქითა და დახვეწილი მანერებით გამოირჩეოდნენ; რუსული ენაც თითქმის ყველამ იცოდა. მათს უმრავლესობას მარტვილის სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული. ისინი მოხდენილად ცეკვავდნენ და მათ მიერ შესრულებული მეგრული სიმღერები სასიამოვნოდ ჟღერდა. როდესაც მთავარი დიდ ქეიფებს აწყობდა, ახალგაზრდების ამ გუნდს ცალკე მაგიდასთან ათავსებდნენ და პირველი კერძის შემოტანისთანავე ისინი ორკესტრის მსგავსად სიმღერას დააგუგუნებდნენ ხოლმე.

ცხოვრება, ძირითადად, ჩვეულ კალაპოტში მიმდინარეობდა. ყოველ დილით დედოფალი და მისი პირისფარეშები ეკლესიაში დილის მსახურებას ესწრებოდნენ, ხოლო საუზმეს შუადღისას მიირთმევდნენ. ამის შემდგომ

სტუმრების გამოცხადება და მიღება იწყებოდა; სადილი 5 საათზე იწყებოდა და ექვს საათზე ყველანი საღამოს მსახურებაზე დასასწრებად მიემართებოდნენ. საღამოს მსახურებს სახლში წასვლის უფლება ეძლეოდათ, ხოლო დედოფალი თავის პირისფარეშებთან ერთად რჩებოდა.

მარხვას მკაცრად იცავდნენ და დიდი დღესასწაულების დროს სასახლეში მობრძანდებოდა თავად ჭყონდიდელი, რომელიც წმინდა მსახურებას უდიდესი მოწიწებით წარმართავდა. მოგზაურობისას დედოფალს საკმაოდ ჭრელი შემადგენლობის ამალა ახლდა.

ბერთა ფონ ზუტნერის მოგონებები

XIX საუკუნის ბოლოს ბარონესა ბერთა ფონ ზუტნერი (1843-1914), ავსტრიელი რომანისტი, მშვიდობის მოძრაობის აქტივისტი და პირველი ქალი, რომელმაც დაიმსახურა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში, თავის მემუარებში საინტერესოდ აღწერს დადიანების ოჯახის ცხოვრებას. ფონ ზუტნერი ეკატერინე დადიანს დაუმეგობრდა, როდესაც ორი ქალბატონი ჰამბურგში ერთ-ერთ კურორტზე შეხვდნენ ერთმანეთს; მაშინ ეკატერინე ევროპაში ემიგრანტის სტატუსით იმყოფებოდა (1857-1867). ამის შემდგომ ფონ ზუტნერი დადიანების ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა. მათი ურთიერთობის პერიოდიდან გამომდინარე ფონ ზუტნერის მოგონებები ეკატერინესა და მისი ოჯახის შესახებ მხოლოდ იმ წლებს ეხება, როდესაც დადიანებს ოფიციალური პოლიტიკური ძალაუფლება უკვე დაკარგული ჰქონდათ.

რუსთხელმწიფესთან შეხვედრა

ძალაუფლების დაკარგვის შემდეგაც კი დადიანები მდიდარ და გამორჩეულ ოჯახად რჩებოდნენ. ფონ ზუტნერი აღნიშნავს, რომ ეკატერინე და მისი შვილები ჰამბურგში საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდნენ; იქ ეკატერინე მთელ სართულს ქირაობდა ერთ-ერთ სასახლეში და დროს სალონებსა და თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრებაში ატარებდა. მას თეატრში საკუთარი ლოჟაც კი ჰქონდა.

ერთ საღამოს ეკატერინე და ფონ ზუტნერი მეგობრებთან ერთად ტერასაზე ისხდნენ, როდესაც რუსეთის ხელმწიფე, ალექსანდრე II-საგან შეტყობინება მოვიდა. იგი ეკატერინეს პირადად იცნობდა და რადგანაც იმხანად ჰამბურგში იმყოფებოდა, ეკატერინესთან შესახვედრად მოიჩქაროდა. სულ მალე ალექსანდრე მთელი თავისი ამალით იმ ტერასის მომიჯნავე პარკში შემოვიდა, რომელზედაც ქალები ისხდნენ. ეკატერინეს დანახვაზე მან მისასალმებლად კიბეები აირბინა. ეკატერინე ფეხზე წამოდგა, ხოლო ხელმწიფემ ხელზე აკოცა. ფონ ზუტნერი გვამცნობს:

ჩვენ იქვე, შორიახლოს, საპატივცემო დისტანციაზე ვიდექით, მაგრამ მე მაინც მოვახერხე იმპერატორის სიტყვების გაგონება, რომლებიც მან ფრანგულად ხმამაღლა წარმოთქვა: "სათამაშო ოთახში წამოსვლას ხომ არ ინებებთ?" მან დედოფალს მკლავი შესთავაზა და ჩვენც გავყევით.

ფონ ზუტნერი იხსენებს, რომ რულეტის მაგიდასთან ალექსანდრემ ეკატერინესაგან რამდენიმე ოქროს მონეტა ისესხა; შესაძლოა იმიტომ, რომ თავად ფულს არ ატარებდა ან იქნებ ფიქრობდა, რომ ნასესხები ფული მისთვის უფრო იღბლიანი აღმოჩნდებოდა. ის რაუნდი მოიგო, მაგრამ, საბოლოოდ, ულმობელმა კრუპიემ იგი მთლად გააკოტრა.

სალომე დადიანის ქორწინება

XIX საუკუნის არისტოკრატულ წრეებში მაჭანკლობა გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენდა, რადგან მიაჩნდათ, რომ დაწყვილება მხოლოდ სოციალურად თანასწორ ადამიანებს შორის იყო მიზანშეწონილი. ამიტომ ეკატერინეს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ თავისი ქალიშვილისთვის, სალომესათვის, წყვილი ევროპელ არისტოკრატებს შორის ეპოვა. ასეთი

პიროვნება მან აშილ მიურატში აღმოაჩინა, რომელიც ფრანგი პრინცის ლუსიენ მიურატისა და მისი ამერიკელი მეუღლის ვაჟი გახლდათ. აშილი პარიზის მაღალი საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო გარეგნობის ახალგაზრდა იყო და სალომემ დიდი სიამოვნებით მიიღო ეს შეთავაზება. ფონ ზუტნერი მოგვითხრობს, რომ მათი დანიშვნის დღიდანვე აშილი სალომეს თეთრი ყვავილების უზარმაზარ თაიგულს ყოველ დილით უგზავნიდა და დადიანების სასახლეს ყოველ საღამოს სტუმრობდა.

ქორწილი 1868 წლის მაისში შედგა. ნეფე-პატარძლის განსხვავებული მრწამსის გამო სამი განსხვავებული ცერემონიალი ჩატარდა: სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაცია მუნიციპალიტეტის შენობაში; კათოლიკური ქორწინება ტიუილრიში, რომელსაც საფრანგეთის იმპერატორი და დედოფალი ესწრებოდნენ; და მართლმადიდებლური ქორწინების ცერემონიალი, რომელიც იმავე საღამოს გაიმართა. ამ უკანასკნელზე სალომე დადიანის მეჯვარე ბერთა ფონ ზუტნერი გახლდათ. ფონ ზუტნერის გადმოცემით, სალომეს ოქრომკედით ნაქარგი საქორწინო პირბადე ეკეთა და თავს ბრილიანტებით მოჭედილი დიადემა – საფრანგეთის დედოფლის საქორწინო საჩუქარი – უმშვენებდა. ქორწილის შემდეგ დადიანის რეზიდენციაში ბალ-მასკარადი გაიმართა.

ნიკო დადიანის ქორწინება

ნიკო დადიანის ქორწინება გაცილებით უფრო დიდებული მოვლენა იყო, ვიდრე მისი დის გათხოვება. 1874 წლის გაზაფხულზე ნიკომ ცოლად გრაფის ასული მერი ადლერბერგი მოიყვანა. ეს ქორწინება სამეგრელოსთვის დიდი მოვლენა იყო, რომელიც, ალბათ, 1981 წელს ბრიტანეთის პრინც ჩარლზისა და ლედი დაიანა სპენსერის ქორწინებისადმი მასმედიის მიერ გამოჩენილი ყურადღებისა და ეროვნული სიამაყის მასშტაბს თუ შეედრება. ნიკოსა და მერის ქორწილი ევროპაში გაიმართა, ხოლო სამეგრელოში მათი სტუმრობა დიდ ეროვნულ დღესასწაულად იქცა. ფონ ზუტნერი ამ მოვლენას ეკატერინესაგან მიღებული წერილებზე დაყრდნობით აღწერს:

წყვილს საკუთარი გემი ჰყავდა, რომელმაც ისინი ოდესიდან ფოთში ჩაიყვანა, სადაც მატარებელში გადასხდნენ და ქუთაისში გაემგზავრნენ. გზად მათ მოზეიმე ადამიანები ხვდებოდნენ, რომლებიც მხიარულად ესალმებოდნენ, ჰაერში თოფებს ცლიდნენ და კეთილ მგზავრობას უსურვებდნენ. გზის გასწვრივ მთელი მოსახლეობა იდგა: გლეხები, თავად-აზნაურობა – მოკლედ, ქუდზე კაცი იყო

გამოსული. ახალდაქორწინებულები ვალდებულნი იყვნენ, დროდადრო მატარებელი გაეჩერებინათ, გადმოსულიყვნენ და ყვავილების ხეივნების გავლით სუფრასთან მისულიყვნენ. ისინი ქუთაისში ორი დღე დარჩნენ და დაესწრნენ უამრავ ქეიფს, ბალ-მასკარადსა და მიღებას.

“წყვილმა გზა ეტლით გააგრძელა. როდესაც სამეგრელოს საზღვართან მოგუგუნე მდინარეზე გადებულ ხიდს მიადგნენ, მათ დატოვეს ეტლი, ფეხით ჩაიარეს ხალიჩებით მოფენილი და ყვავილების ხეივნებით მორთული ხიდი და იქაურ თავად-აზნაურთა ჯგუფს მიადგნენ, რომლებიც მათ ელოდებოდნენ. შეისვა ახალდაქორწინებულთა სადღეგრძელო, რის შემდეგაც ცხენებზე ამხედრებული ამალა მათ წინ გაუძღვა.

ეკატერინე გორდის სასახლის აივანზე იცდიდა. ნეფე-პატარძლის გამოჩენას ხალხი მხიარული შეძახილებითა და ტაშით შეხვდა. უკრავდა სამხედრო ორკესტრი, რეკავდნენ ზარები, ზარბაზნების ქუხილს ახლომდებარე მთები ექოთი ეხმიანებოდნენ. იმდროინდელი რუსული ტრადიციის მიხედვით მსახურთუხუცესმა ახალდაქორწინებულებს პური და მარილი მიართვა; შემდეგ ისინი ეკატერინეს მიუახლოვდნენ და დაიჩოქეს, რათა მისი ლოცვა-კურთხევა მიეღოთ. პატივისცემის ნიშნად შეკრებილი ხალხი ამ რიტუალს დუმილით შეხვდა. ამ მოვლენის აღსანიშნავი საეკლესიო მსახურების შემდეგ დაიწყო ქეიფი, რომელმაც შუაღამემდე გასტანა. დღესასწაული მეორე დღესაც გაგრძელდა. იგი სრულიად შემთხვევით პატარძლის, მერი ადლერბერგის დაბადების დღეს დაემთხვა.

ვეფხის სერცფელი ვერცფ�d ფელზე

(უწმინდეს და უნეტარეს
პატრიარქს ილია მეორეს)

იმდენი ითქვა და დაიწერა, ვეღარ გავბედე მომეთხრო შენზე,
დაბადებიდან ბრძენი ირაკლი, დაწინდული ხარ ჭეშმარიტ ღმერთზე.
მთელი ცხოვრება ცრემლით და ლოცვით, პატრიარქობდი „ბედნიერ ერზე",
მრავალჟამიერ მამამთავარო, მირონი გეცხოს ჭალარა წვერზე.

გვეალერსები არ გვიბრაზდები, ნათელი გადე უძირო ბნელზე,
„მზიანი ღამე" გვაჩუქე შვილებს, გეტირებოდა შინაურ მტერზე.
დავიღალეო წამოგცდა ერთხელ, მაინც ლოცულობ უმადურ მრევლზე,
დიდხანს იყავი ნუ მიგვატოვებ, გეამბორები ჯურთხეულ ხელზე.

იყავი ღუზა ოკეანეში, მიგვანიშნებდი გაბრიელ ბერზე,
ხშირად ცრემლებით ათევდი ღამეს, უღელი გედგა ჯურთხეულ ქედზე.
ილიას ჯვალზე დააბიჯებდი, მუდამ ფიქრობდი სამშობლოს ბედზე,
„ღმერთი, მამული, ადამიანი" რწმენით დაწერე სამოთხის ხეზე.

უბრწყინვალესი ხარ გარეგნობით, ჯვარ-პანაღია გამშვენებს მკერდზე,
არ გადახრილხარ მარჯვნივ და მარცხნივ, მყარად იდექი დიდგორის ველზე.
იგერიებდი მწვალებელ მხეცებს, „ტკბილი იესო" გეხატა ჯვერთხზე,
აწ და მარადის ტკბილო მოხუცო, პავლეს სარტყელი გარტყია წელზე.

02.09.2014 წელი.
(ილიაობა)
მამა გიორგი თევდორაშვილი.



ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲘᲖᲔᲐᲩᲘ

ᲒᲘᲕᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ბორია რომანის ძე გმირია ქ. კიევში ცხოვრობდა. იმ დროს, როდესაც გერმანელები უკრაინაში შემოვიდნენ, გმირია კიევის ოპერის თეატრის სოლისტი იყო. მოგეხსენებათ უკრაინელები პურითა და მარილით შეეგებნენ გერმანელებს. ბატონი გმირია კი, იმის ნაცვლად, რომ კიევი დაეტოვებინა, დარჩა კიევის საოპერო დასში და ახლა უკვე გერმანელებისთვის განაგრძო სიმღერა. როდესაც საბჭოთა ჯარებმა უკრაინა გაანთავისუფლეს, ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელიც იმ დროს უკრაინაში I პირი იყო, გადაწყვიტა კრემლში ი.ბ. სტალინისთვის დაერეკა და ეკითხა თუ როგორ მოქცეულიყო ამ მოღალატის მიმართ, რამეთუ ის მარტო კიევში კი არ მღეროდა გერმანელებისთვის, არამედ ბერლინის თეატრში მიუწვევიათ წამყვანი პარტიის შესასრულებლად.

სტალინმა ხრუშჩოვს გულმოდგინედ მოუსმინა და ჰკითხა: — თავად თუ გაქვს მაგის ნამღერი მოსმენილი?

— არა, იოსებ ბესარიონოვიჩ, მართალია მე მისთვის არასდროს მისმენია, მაგრამ მთელი პუბლიკა აღფრთოვანებულია.

— მერე რა, რომ გერმანელებისთვის მღეროდა, უთხრა სტალინმა. აწი ჩვენთვის იმღერებს, არც ერთ შემთხვევაში ხელი არ ახლოთ!

ასე გადაწყდა გმირიას ბედი. რამდენიმე წლის შემდეგ გმირია მოსკოვის დიდ თეატრში მიიწვიეს, სადაც საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროსთან ერთად კონცერტს თავად ი. ბ. სტალინი ესწრებოდა. სტალინმა მოსმენილით და ნანახით აღფრთოვანება ვერ დამალა და კულტურის მინისტრს უბრძანა მისთვის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭებინათ.

მეორე დღესვე ყველა წამყვანი ჟურნალ-გაზეთები გმირიას სურათებით იყო აჭრელებული, მკითხველს მის სახალხო არტისტობას ამცნობდნენ.

არ გასულა დიდი დრო და გმირია სტალინური პრემიის ლაურეატი გახდა. მთელი პოლიტბიურო გაკვირვებული იყო იოსებ ბესარიონის ძე სტალინის საქციელით, მით უფრო მაშინ, როდესაც საცოდავმა მეეზოვემ სრულიად შემთხვევით სახლიდან გამოსულ სტალინს ცოცხით ქუჩა აუმტვერა, ამის გამო იგი 10 წელი მაგადანის კოლონიაში იხდიდა სასჯელს. პატიმრებს ზედმეტსახელად მისთვის ცოცხი შეურქმევიათ. ცოცხი 1953 წელს ამინისტიის წყალობით დაბრუნდა მოსკოვში.

ერთი საოცარი ფაქტიც მოხდა: კრემლში, ლავრენტი ბერიას საიდუმლო განყოფილებაში ჰყავდა ერთი თანამშრომელი, მაიორი, რომელსაც კვირაში ერთხელ სტალინთან კაბინეტში საბუთების შეტანა ევალებოდა. როგორც კი მაიორი კაბინეტში შევიდოდა, უმალვე სუნთქვა ჭირდა, ჰაერს აფუჭებდა. ეს მდგომარეობა რასაკვირველია სტალინს შეუმჩნეველი არ დარჩენია და მისი სამსახურიდან გათავისუფლება და დაპატიმრება ბრძანა. თუმცა, როდესაც ბერიასგან შეიტყო, რომ მისი ამგვარი ქმედება (უნებლიე კუჭის მოქმედება) სტალინთან ურთიერთობის შიშით იყო გამოწვეული, სტალინი ჩაფიქრდა, არაფერი შეიმჩნია, შემდეგ ლავრენტის მიუბრუნდა და დავალება მისცა, მაიორისთვის 500 მანეთიანი პრემია გამოეწერა, დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის. თანაც ქართულად უთქვამს: მის მეუღლეს ჩემი ხელფასიდან საუკეთესო დუხი, სამი ფლაკონი „კრასნაია მასკვა“ უყიდეთ, მისი ქმრის დასვრილი საცვლების რეცხვის გამო, თანაც პოდპოლკოვნიკობაც მიანიჭეთ, ოღონდ ჩემს კაბინეტში შემოსული არ ვნახოო.

ბერიამ თვალნათლივ შეატყო, თუ როგორ ეამა სტალინს ხელქვეითისგან მის მიმართ უდიდესი შიში, შიში, რომელიც მაიორს თავზე კონტროლს აკარგვინებდა.

ᲛᲬᲕᲐᲓᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲬᲐᲙᲐ

1949 წელია, ომის შემდგომი ბათუმი. ორმა უახლოესმა მეგობარმა გადაწყვიტა სასამართლოს შენობის წინ პატარა ჯიხურის გახსნა, სადაც სახელდახელოდ ღორის მწვადებს წალამზე წვავდნენ.

დილის 12 საათიდან იწყებდნენ საქმიანობას და საღამოს 8 საათამდე ალალმართლად შრომობდნენ. ბიჭები შაყირად ერთს მწვადიკას ეძახდნენ, მეორეს წიწაკას. წიწაკა მთელ ბათუმში ყველაზე დაბალი კაცი იყო. თანაც ქოსა და ბავშვის იერი უფრო ჰქონდა ვიდრე მამაკაცის. წიწაკა ამით სარგებლობდა, პატარა ბავშვისთვის შესაფერის მოკლე შარვალს და თეთრ გაქათქათებულ პერანგს იცვამდა, ყელზე პიონერის ყელსახვევს იკეთებდა, მარჯვენა ხელზე ტატუირება ჰქონდა: „Бог создал вора, чорт прокурора“. წარწერას ბინტით იხვევდა, რომ არავის შეემჩნია და ასე ქურდობდა ჯიბეზე ტროლეიბუსებში. ამიტომ მასზე ეჭვს ვერავინ იღებდა. ერთხელ ვიღაცამ ფაქტზე წაასწრო, ხელი სტაცეს, მან კი ისეთი მიამიტი სახე მიიღო, ატირდა და თან თავგამეტებით იძახდა; ბიძია, სხვის ჯიბეზე შემთხვევით მომიხვდა ხელი, დიდ ბელადს, სტალინს გეფიცებიო. დამორცხვებულმა კაცმა თავზე ხელი გადაუსვა და სახალხოდ ბოდიშიც მოუხადა, — მაპატიე შვილო, ეტყობა შემეშალაო. ბედის ირონიით ისე მოხდა, რომ ეს კაცი იქვე, მათ სამწვადესთან, შორიახლოს ცხოვრობდა, ერთხელ როცა მწვადის საჭმელად შემოვიდა და წიწაკას შეხედა, გაოცებულმა შეჰყვირა, ჩემო ბატონო, პატარა პიონერი შემხვდა ტროლეიბუსში, გაჭრილი ვაშლივით გგავდა, შემთხვევით შენი შვილი ხომ არ არისო? წიწაკამ ჩაიცინა, კაცი იცნო და უთხრა, ჩემი ძმის შვილია, მაგარი აფერისტია, ყველაფერზე ძია სტალინს იფიცებსო. კაცი საგონებელში ჩავარდა, ვაითუ მართლა ქურდობდა და ასე იდიოტივით მომატყუაო. წიწაკამ კი მწვადს ხახვი მოაყარა, მიართვა და დასძინა: სტალინს გეფიცები, გულით მინდა, რომ ღმერთმა ალალად შეგარგოსო.

როგორც ყოველთვის წიწაკა სამსახურის დამთავრების შემდეგ საზღვარგარეთიდან ჩამოსული მეზღვაურებისთვის განკუთვნილ სასადილოში რამდენიმე თავის ძმაკაცთან ერთად უცხოელების ჯიბეზე ნადირობდა. ე.ი. ქურდობდა. ერთ მშვენიერ დღეს მისი ორი მეგობარი ფაქტზე დაიჭირეს, ხოლო წიწაკა შემთხვევით გადარჩა. მათი სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, წიწაკა და მწვადიკა ამ დროს კლიენტებისთვის მწვადს წვავდნენ. წიწაკამ მწვადიკას ხელი გადახვია და უთხრა; ჩემო მწვადიკ, სანამ მწვადი შეიწვება, მანამდე აქვე, სასამართლოს შენობაში ავალ, მოწმედ ვარ დაბარებული, შენ ხელი არ ახლო, ხახვს მე დავჭრი და მწვადსაც თვითონ მოვაყრიო, თქვა, წინსაფარი მოიხსნა და სწრაფი ნაბიჯით სასამართლოს შენობაში გაუჩინარდა. მწვადიკამ ერთი საათი უცადა მის მოსვლას და შემდეგ ხახვმოუყრელად მიართვა მწვადი კლიენტებს.

ამ ამბის შემდეგ 6 წელი გავიდა. წიწაკა სამწვადეში დაჭრილი ხახვით ხელში გამოჩნდა. წიწაკას დანახვაზე მწვადიკამ შეჰყვირა: — წიწაკ, წიწაკ! და გულში ძმასავით ჩაიკრა. შემდეგ შამფურზე ახლად შემწვარი მწვადები გამოიტანა, სინზე დააწყო და ხახვის მოსაყრელად წიწაკას გაუწოდა. საწყალი წიწაკა თავისი თანამზრახველების დასმენის წყალობით დააპატიმრეს და მხოლოდ 6 წლის შემდეგ მოახერხა მწვადზე ხახვის მოყრა. ასე დამთავრდა მწვადიკას და წიწაკას ამბავი.

ᲒᲘᲕᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ

* ბოროტი კაცი როგორ უნდა შევიყვაროთ? – ჰკითხეს ბერ გაბრიელს. ბოროტება, ცოდვა შეიძულეთ, თვით ადამიანი კი გებრალებოდეთ და გიყვარდეთ. ღმერთმა უწყის, იქნებ ის ვინც ჩვენ დღეს გვძაგს, ხვალ ლოცვით, ცრემლით, მარხვით და სინანულით განიწმინდოს და ანგელოზთა მსგავსი გახდეს. ბევრი ყოფილა ასეთი შემთხვევა.

* შენი მტერი უნდა გიყვარდეს, ხოლო ქრისტეს მტერი როგორ უნდა შეიყვარო?! მაგრამ არ უნდა გძულდეს და აქედან მოდის სიყვარული.

* ვინც ცდილობს მოყვასის სიკეთისათვის, ის არგებს ჯერ საკუთარ თავს და მერე სხვას.

* მარხვა ცოდვების სინანულია, როცა საჭმელი არ გახსოვს.

* ყველას უკან თავისი სარკე აქვს და იქ ჩანს მათი ცოდვები.

* კარგად დაიმახსოვრე, ვინ სად გარბის შენი საქმე არ არის, შენ დაჯექი და შენ ცოდვებზე იტირე.

* როდესაც საჭმელს ჭამ უნდა გახსოვდეს, მშჰიერი, მცყურვალი, გაჭირვებული, ამაშია სასუფევლის პოვნა.

* ჯვარშია მთელი ძალა!!!

* თუ ღვთის მცნებებს არ იცავთ, ნუ დაღლით უფალს ბევრი ლოცვით, არ მოგისმენთ და ლოცვა ცოდვად შეგირაცხებათ.

* წმიდა წინასწარმეტყველების ენუქისა და ელიას ბრძოლას ანტიქრისტესთან ტელევიზიით გადასცემენ.

* ნეტავ შეიცნოთ ღმერთი, ნეტავ გაუგოთ ღმერთს!!

უხმობდა მშობლიური სუჯუნის მიწა, ზეცა კი ტიროდა...

სუჯუნის წმინდა გიორგის ტაძრისკენ ისევ იმ ემოციას მივყავარ, სულ რამდენიმე თვის უკან რომ დამეუფლა... მაშინ, შემოდგომის იმ თბილ დღეს, ფესვებმონატრებული ჭეშმარიტი ქართველის, ჩეხეთში მცხოვრებ სოსო მატკავას მშობლების საფლავზე ავანთეთ სანთლები, წლების შემდეგ რომ გადმოასვენა მამა აფხაზეთის მიწიდან და მშობლიურ სუჯუნას დაუბრუნა... დღეს კი—ეს არც შემთხვევითობაა, არც, უბრალოდ, ბედის თანაზიარობა, ეს ქვეყნისა და მიწის სიყვარულია, იმ სოფლის, ასე სითბოთი რომ ინახავს გულში მათი ბავშვობის ნატერფალებს... ამჯერად, სოსო მატკავას მამის, სერგო მატკავას უახლოესი მეგობრის, კარლო ნოდიას საბოლოო განსასვენებელი გახდა წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ეზო.

ეს მერამდენე ქართველი დაიბრუნა ქართულმა მიწამ, მერამდენე ძლიერ სულს უხმო სუჯუნის წმ. გიორგის ტაძარმა, რამდენ შორს წასულ შვილს მისწვდა სამრეკლოზე აბუბუნებული ზარების ძახილი...

ბატონ თემურ ნოდიას, აწგანსვენებულ კარლო ნოდიას შვილს სუჯუნაში ვესაუბრე, ვუსმენდი ამ საოცრად ნათელი ბუნების ადამიანს, ვათვალიერებდი ძველ ფოტოსურათებს და თითქოს მეც განვიცდიდი ამ სიყვარულით, სითბოთი, მოყვასთა ერთგულებით სავსე ოჯახის სიხარულსა თუ ტკივილს. ჩანაფიქრს, ბატონ კარლო ნოდიას შესახებ დამეწერა და მომეთხრო მკითხველთათვის, მათი ოჯახის წარსულისა და აწმყოსადმი ინტერესიც მიემატა, რადგან იშვიათადღა მოიძებნებიან ადამიანები, ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში დევნილის სტატუსით და ასე ინარჩუნებდნენ ქართველობას, არ სწყდებოდნენ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში დარჩენილ ფესვებს... მათში დავანებული მაღალადამიანური და მამულიშვილური გრძნობები, გულიდან რომ ათბობს ირგვლივმყოფთ და ლამობს, უფრო ძალუმად შემოიჭრას ჩვენში, გვიწილადოს ეს განცდა.

,,საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ" - ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ბატონი კარლო ნოდიას ცხოვრების გზას გავეცანი, გზას, რომელიც მხოლოდ ლამაზი დღეებით გაჯერებული არ ყოფილა, გზას, რომელმაც სუჯუნელი ბიჭი, ჯერ სოხუმამდე, შემდეგ კი მოსკოვამდე მიიყვანა, თუმცა სოფლის სიყვარული გულის გულში ჰქონდა გადანახული.

მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა კარლო ნოდია 1918 წელს, სოფელ სუჯუნაში. სანოდიო -ასე ეძახიან ახლაც იმ კუთხეს. დაწყებითი კლასები

სუჯუნაში სწავლობდა, სკოლა აბაშაში დაამთავრა. ღრმა ტკივილად დაჰყვა 21 წლის ძმის გარდაცვალება. თავადაც მძიმედ იავადმყოფა, თუმც, ღვთის ნება იყო მისი გადარჩენა. სწორედ სკოლის დამთავრებას და ავადმყოფობას დაემთხვა დიდი სამამულო ომის დაწყება. გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა ოჯახი, ისე, როგორც ყველა, იმ პერიოდში. შესძლო შრომისა და სწავლისთვის თავდადებულმა ბიჭმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაებარებინა და წარმატებით დაემთავრებინა კიდეც. განაწილებით სოხუმში გაგზავნეს - მას შემდეგ მუშაობდა ბავშვთა ექიმად, მრავალი წელი იმუშავა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ვინ იცის, რამდენი პატარას სიცოცხლე გადაურჩენია — ქართველის, რუსისა და აფხაზის, სწორედ, ამ გადარჩენილმა სიცოცხლეებმა იხსნეს მოგვიანებით კარლო ექიმი— ალმოდებული სოხუმიდან სამშვიდობოს, სწორედ აფხაზებმა გამოიყვანეს.

ბატონმა კარლომ სოხუმში იპოვა დიდი სიყვარული -ალექსანდრე (ვალია) რაიზერი, თბილისში დაბადებული და გაზრდილი გერმანელი ლამაზი გოგო. ორ ვაჟკაცს, თემურსა და ზვიადს ზრდიდნენ და სიცოცხლეს შეჰხაროდნენ. სხვა რაღა იყო ბედნიერებისთვის საჭირო?! წუთისოფელი ხომ იქ უმუხთლებს ადამიანს, სადაც არ ელის... და დარჩნენ ობლად, დედის გარეშე პატარა ბიჭები. ადვილი არ იყო მარტოდ დარჩენილს შვილებისთვის ეზრუნა, მათთვის მიეხედა, აღეზარდა ნამდვილი ვაჟკაცები და არც სამსახურისთვის მოეკლო ყურადღება. დედის წილი სიყვარულიც იტვირთა და ... ,,ჩვენ ძალიან გვიყვარდა მამა" - ამბობს ბატონი თემური და ვგრძნობ, როგორ ებზარება ხმა, ამ სიტყვებში ჩატეულია სიყვარულიცა და მადლიერებაც, იმ ამაგის, რომლის გადახდაც შეუძლებელია.

კარგი შვილობა ხომ მშობლის სიამაყეა. ზვიადი ისტორიკოსი გახდა, შესანიშნავი ოჯახი ჰყავს, მეუღლესთან, როზა ასათიანთან ერთად მოსკოვში პატარა ქართული სამყარო აქვს შექმნილი. მათი შვილები: ნინო და თემური მოსკოვში გაიზარდნენ, მაგრამ ძალიან უყვართ საქართველო, ხშირად ჩამოდიან, აქ მეგობრები ყავთ და მომავალი გეგმებიც მშობლიურ ქვეყანაში ცხოვრებას უკავშირდება. ნინო სინქრონულ ცურვაში სპორტის ოსტატია, აქვს უამრავი მედალი, სიგელი.

თემურმა სამედიცინო ინსტიტუტი სარატოვში დაამთავრა, მოსკოვში ორდინატურა გაიარა, 3 წელი შუა აზიაში მუშაობდა, მოსკოვში სამსახურიც შესთავაზეს, მაგრამ უცხო ქვეყანაში კეთილდღეობას საქართველოს სიყვარულმა სძლია...

...იმ ავადმოსაგონარი წლების ტრაგიზმმა, თითოეული ქართველის სულში დატოვა ჭრილობა, რომელიც მარადიულ, განუკურნებელ ტკივილადაა ქცეული. ასეა მათთანაც. "საავადმყოფოში, სადაც ქირურგად ვმუშაობდი, დაჭრილები მოყავდათ, შეუძლებელია სიტყვებით გადმოვცე ის საშინელება, რაც იქ ტრიალებდა. როცა სოხუმის დაბომბვა დაიწყო, მინდოდა მამა ქალაქიდან გამომეყვანა, მაგრამ არ დამიჯერა, სახლი არ დატოვა, მე კი მასთან მუდმივად ყოფნა არ შემეძლო, ჩემი პროფესიული მოვალეობა არ მაძლევდა უფლებას დაჭრილები დამეტოვებინა. სოხუმის მორიგი ძლიერი დაბომბვისას, იძულებული გავხდით სოხუმიდან წამოვსულიყავით, სახლამდე ვეღარ მივაღწიე, დანგრეული ქუჩები, დაღუპული უდანაშაულო ადამიანებით იყო სავსე. მანამდე კი, დაჭრილი მეომრები, ზოგი გემზე ავიყვანეთ, ზოგი კი თვითმფრინავში, მახსოვს, წინა დღეებში, ჩემი ძმა მეუღლითა და ორი მცირეწლოვანი შვილით, როგორი წვალებით ავსვით თვითმფრინავის ტრაპზე, რომ იმ ენით აუღწერელ საშინელებას გარიდებოდნენ. წარმოიდგინეთ ჩემი განცდები—მამა შუა ომში დავტოვე, მე კი სვანეთის გზით ფეხით წამოვედი... ეს ჯოჯოხეთური გზა რაც

იყო, ყველამ კარგად იცის... მამა რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემი ძმის აფხაზმა მეგობრებმა გამოიყვანეს სამშვიდობოს, მან ჩემს შესახებ არაფერი იცოდა, 70 წელს გადაცილებული გახლდათ, ყველა საშუალებით მეძებდა, ტელევიზიითაც კი, მერე ვიპოვეთ ერთმანეთი ოჯახის წევრებმა. აფხაზეთის საბოლოო დაკარგვამ მაიძულა, მოსკოვში მცხოვრები მეგობრებისათვის დამეჯერებინა და მათთან წავსულიყავი... ბუნებრივია, თავიდან რთული იყო იქ დამკვიდრება. მამა ვერ ეგუებოდა ქვეყნიდან შორს ყოფნას, მუდამ სოხუმი ენატრებოდა, დაბრუნების იმედი არასოდეს დაუკარგავს, ამ იმედით გავიდა 21 წელი. ხშირად იმეორებდა: „სახლში მინდა!" ზოგჯერ ამ იმედს გავუქარწყლებდი, რადგან რეალობა სხვა იყო, მერე შემცოდებია და ვარწმუნებდი, რომ სოხუმში აუცილებლად დავბრუნდებოდით, ტელეფონით ეხმიანებოდა ნაცნობებს და ამ იმედით სულდგმულობდა. აქიდან წასვლის შემდეგ, 16 წელი არ ჩამოვსულვართ საქართველოში, როგორც კი ამის შესაძლებლობა გაჩნდა, მამა მაშინვე ჩამოვიყვანე, 5 წლის უკან ვიყავით აქ, მთელი სუჯუნა ფეხით შემოიარა, თავის ნასახლარზე ფეხი დადგა, მშობლების, და-ძმის საფლავს პატივი მიაგო, ბავშვივით გაიხარა, მე კმაყოფილი ვარ, რომ ავუსრულე ბოლო სურვილიც—სუჯუნაში უნდოდა დაკრძალულიყო—აქ სხვა მიწაო ამბობდა"—იგონებს ბატონი თემური. ვუსმენდი ამ შესანიშნავ პიროვნებას და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სწორედ მათი მსგავსი ადამიანების არსებობა ანუგეშებს და აცოცხლებს ერს საუკუნიდან საუკუნემდე.

თემურ ნოდია ამჟამად მოსკოვის რკინიგზის ცენტრალურ-კლინიკურ საავადმყოფოში მუშაობს, ონკოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობს, მისი კაბინეტის კარს ექიმის სახელი და გვარი აწერია... ხშირია შემთხვევა, როცა მასთან შედიან და ეკითხებიან—ვინ არის კარლო ნოდიასი... ის სიამაყით პასუხობს, რომ მისი შვილია... „მე კარლო ექიმის გადარჩენილი ვარ"—ეუბნებიან სრულიად უცხო ადამიანები. სწორედ ამიტომ არის კარლო ნოდიას ცხოვრება მორალის, პროფესიონალიზმის, კეთილშობილებისა და ვაჟკაცობის მაგალითი.

ღირსეულ წინაპარს ღირსეული შთამომავლობა ყავს... „არიან ადამიანები, ღვთის ნიშნით გამორჩეულნი, რომელნიც თესენ სიყვარულს, სათნოებას, ქმნიან, აშენებენ, თვითონ იწვიან და სხვას გზას უნათებენ"—ასეთი ადამიანი გახლდათ ბატონი კარლო, ასეთი ადამიანები არიან მისი შვილებიც...

დასაწყისში სახარებისეული შეგონება ვახსენეთ: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ"... ბატონი კარლოს კეთილი საქმეების, ჭეშმარიტი ადამიანობის გამო იყო თბილისის აეროპორტში უამრავი ადამიანი, რომ დახვდა მის ნეშტს... მერე კი, სუჯუნის წმინდა გიორგის ტაძარში დაასვენეს... სანთლების ციაგსა და იდუმალ სიმყუდროვეში, თითქოს ჩამესმოდა კიდეც ამ საოცარი ადამიანის გულის ხმა, რომელიც „უცხო ცის ქვეშ მარტოობდა"... ახლა კი საოცარი ნათელი ადგა... უხმობდა მშობლიური სუჯუნის მიწა, ზეცა კი ტიროდა...

„აფხაზეთის დამსახურებული პედიატრი, წლების განმავლობაში სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ხელმძღვანელი, დიდებული პიროვნება, გულისხმიერი, ყველას დამხმარე და მკურნალი—განურჩევლად ეროვნებისა"—ასე ახასიათებენ და ასეთად დარჩება კარლო ნოდია მათ ხსოვნაში, ვისაც ერთხელ მაინც შეხვედრია, ერთხელ მაინც სმენია მისი ცხოვრების შესახებ.

ლოცვასავით ჩამესმის სიტყვები: „სამშობლო ერთადერთია და განუმეორებელი! მას ვერ გამოიგონებ, ვერც სურვილისამებრ აირჩევ—ღმერთის საჩუქარია და ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, გვევალება კიდეც, გავუფრთხილდეთ, არ დავკარგოთ, რაკი სიცოცხლესთან ერთად გვეძლევა და სისხლივით, სულივით გადაეცემა ჩვენს შთამომავალს." კარლო ნოდიამ სულივით გადასცა მის შთამომავალს სამშობლოს სიყვარული, თავად კი მიწის ძახილს მოჰყვა და დაუბრუნდა მშობლიურ ფესვებს, ისევე, როგორც მისი მეგობარი სერგო მატკავა. საუკეთესო შვილები ხომ უკან ყოველთვის ბრუნდებიან.

ვერიკო ჯიბლაძე

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური პირველობა მძლეოსნობაში

20 სექტემბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელობით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გაიმართა რეგიონალური პირველობა „საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თასზე", რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7 მუნიციპალიტეტის მძლეოსანთა გუნდმა.

აღნიშნულ ტურნირში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სასპორტო ცენტრის მოსწავლეებმა დაიკავეს შემდეგი ადგილები:

ბირთვის კვრა:

I ადგილი - მებონია ლიზი (შედეგი 7მ.50სმ.)

II ადგილი - ლაშხია საბა (შედეგი 12მ.38სმ.)

სიგრძეზე ხტომა:

II ადგილი - გელანტია ირაკლი (შედეგი 4მ.88სმ.)

100მ. რბენა:

II ადგილი – გელანტია ირაკლი (შედეგი 11.91სმ)

ესტაფეტა ბიჭები 4/200 – III ადგილი

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ლუკა ფარცვანიას წარმატება მიულოცა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ედიშერ თოლორაიამ** მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლის ბენდი „ზუგდიდი“–ს წევრს **ლუკა ფარცვანიას** (ხელმძღვანელი **ზურაბ კანკია**) ბულგარეთის კონკურსზე გამარჯვება მიულოცა და კაბინეტში უმასპინძლა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ლუკა ფარცვანია „განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში დააფინანსა, რითაც მას საშუალება მიეცა მონაწილეობა მიეღო ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულ XI საერთაშორისო ფესტივალ–კონკურსზე „სლავიანსკი ვენეც“, სადაც მან სპეციალური პრიზი „**ჟიურის რჩეული**“–ს ტიტული დაიმსახურა.

ლუკა ფარცვანიამ და ბენდის ხელმძღვანელმა ზურაბ კანკიამ გამგებელ ედიშერ თოლორაიას მადლობა გადაუხადეს ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ქ.წალენჯიხის №4 საჯარო სკოლას ვახტანგ კვარაცხელიას სახელი მიენიჭა

დღეს, 26 სექტემბერს, ქ.წალენჯიხის 4 საჯარო სკოლას მიენიჭა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, პედაგოგის, მეცნიერისა და პროფესორ ვახტანგ კვარაცხელიას სახელი. ამასთან დაკავშირებით სკოლის ეზოში საზეიმოდ გაიხსნა მისი სახელობის მემორიალური დაფა და გაიმართა ღონისძიება რომელსაც ესწრებოდნენ: მოწვეული სტუმრები, მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს ხელმძღვანელები, რესურსცენტრის თანამშრომლები და საზოგადოების წარმომადგენლები.

ერთიანი საზეიმო წირვა-ლოცვა წალენჯიხაში

ადმინისტრაციული ერთეულის, ლეჯოლოხეს უბანში წმინდა მეფე თამარის სახელობის ახალ აშენებულ ტაძარში სასულიერო პირებმა და მღვდელმთმთავრებმა ერთობლივი საზეიმო წირვა–ლოცვა აღავლინეს.

სპერციალურად ამ დღესთან დაკავშირებით ლეჯოლოხეში ჩამოვიდნენ ბორჯომ–ბაკურიანის, სამტრედიისა და ვანის,გარდაბნისა და მართყოფის, ჭყონდიდის, ჩხოროწყუსა და სენაკის ეპარქიების მიტროპოლიტები. რომლებმაც ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტთან ერთად აკურთხეს ახლადაშენებული ტაძარი.

მღვდელთმთავრებთან ერთად საზეიმო წირვა-ლოცვაზე იმყოფებოდნენ სასულიერო პირები, დედები, მორჩილები, მრევლი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები.

წირვის დასასრულ, მიტროპოლიტებმა დალოცეს ტაძრის ქტიტორი ბესარიონ ჯოლოხავა, ჯოლოხავების გვარი და მთლიანად სოფლის მოსახლეობა. ასევე დალოცეს ის ადამიანები, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვით ტაძრის მშენებლობაში. აღსანიშნავია, რომ სოფლის მოსახლეობასთან და ქართველ ხუროთმოძღვრებთან ერთად ამ ეკლესიის აღმშენებლობაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზებმა. ქადაგებისას მღვდელმთავრებმა ისაუბრეს ქართველებისა და აფხაზი ხალხის ურთიერთობაზე. მათი თქმით, საქართველო და აფხაზეთი მალე გაერთიანდება წმინდა მეფე თამარისა და ილორის წმინდა გიორგის კურთხევით.

ქადაგების დასასრულს კი, წმინდა სინოდის სახელით ტაძრის ქტიტორს სიმბოლური საჩუქარი გადაეცა.

ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ მეუფე გერასიმეს კურთხევით, დღეიდან ამ ტაძრის წინამძღვრად იკურთხა მღვდელი თეიმურაზ მესხია.

ერთობლივ წირვა–ლოცვაზე ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მგალობელ გუნდთან ერთად რამდენიმე ქართული საგალობელი შეასრულა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა.

ლეჯოლოხეში წმინდა მეფე თამარის ტაძრის მშენებლობა მოხდა უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II ლოცვა–კურთხევით,მშენებლობა დაიწყო 2011 წელს. ტაძრის ქტიტორის, ბესარიონ ჯოლოხავას განმარტებით, მშენებლობისას გამოყენებულიქნა სერიოზული ხურთმოძღვრული სამუშაოები: ბიჭვინთის ტაძრის ჩუქურთმები, იშხანი, ხახული და ყველაზე მთავარი– გამოყენებულია ივერონის იატაკი.

ასევე, შეიქმნა წმ. გიორგის უნიკალური ხატი მოზაიკით, რომელიც დაიწერა ხატმწერის ეკატერინე ბასილაიას მიერ.

ძახველი

ძახველი 4 მეტრამდე სიმაღლის ბუჩქია ცხრატყავასებრთა ოჯახიდან, მონაცრისფრო-რუხი დახეთქილი ქერქით და გლუვი ყლორტებით. ფოთლები ერთმანეთის მოპირისპირედაა განლაგებული, ფართო კვერცხისებრია, სიგრძით 5-10 სმ, ხუთნაკვთიანი, ყუნწიანი, ზედა მხრიდან მუქი მწვანე, ქვემოდან უფრო ღია ღერის, სუსტად შებუსული ფოთლის ძარღვების გასწვრივ. ყვავილები თეთრია და ორი სახისაა: კიდურა - უნაყოფო, მსხვილი ქოლგისებრი. გვირგვინით, დიამეტრით 2,5 სმ-მდე, შიდა - ნაყოფის მომცემია, პატარა გვირგვინით (0,5 სმ-მდე). ნაყოფი ღია წითელი ფერისაა, ოვალური ან სფეროსებრი, წვნიანი, 1 სმ-მდე დიამეტრის მსხვილი კურკით.

ძახველი ყვავილობს მაის-ივლისში, ნაყოფი შემოდის აგვისტო-სექტემბერში.

საქართველოში გავრცელებულია ტყიან ადგილებში თითქმის სუბალპურ ზონამდე. გვხვდება აგრეთვე მდინარის პირებზე, ზოგჯერ ბაღებშიც.

ნედლეულად ამზადებენ ძახველის ქერქს, გაზაფხულზე, წვენის ინტენსიური მოძრაობის დროს, აპრილ-მაისში. ამ პერიოდში ქერქი ადვილად სცილდება ხეს. ტოტებს ჭრიან მიწიდან 10 სმ-ის სიმაღლეზე ირიბად. მოჭრილ ტოტებზე აკეთებენ წრიულ ნაჭდევებს ერთმანეთისაგან 10-15 სმ დაშორებით, შემდეგ გრძივ ნაჭდევებს უკეთებენ და აცლიან ქერქს ღარებად ან მილისებურად. უმჯობესია ბუჩქნარს გვერდითი ტოტები მოაჭრათ, რათა ძირითადი ტანი არ დაზიანდეს და ახალი ყლორტები ამოიყაროს.

ნაყოფს კრეფენ სექტემბერ-ოქტომბერში, სრული სიმწიფის პერიოდში, მშრალ ამინდში. კრეფის დროს სასურველია ნაყოფი არ დაიჭყლიტოს.

იმის გამო, რომ ძახველი ძალზე ნელა იზრდება, ხოლო ქერქის დამზადების დროს ხშირად მთელ ბუჩქებს ანადგურებენ, კარგი იქნება თუ თითოეული თქვენგანი დარგავს ამ სამკურნალო მცენარეს საკუთარ ბაღში ან აგარაკზე.

ქერქს აშრობენ სხვენზე, თუნუქის სახურავის ქვეშ, ან ფარდულში, კარგი ვენტილაციის პირობებში. მშრალი ქერქი მოღუნვის დროს ტყდება. მისი შენახვა შეიძლება 4 წლამდე.

ძახველის ნაყოფს ჯერ ჰაერზე აშრობენ, შემდეგ ღუმელებში, 60-80 გრადუს ტემპერატურის დროს. გამშრალ მარცვლებს აცლიან და ინახავენ ქაღალდის ან ნაჭრის პარკებში, მშრალ ადგილას.

ძახველის ქერქი შეიცავს სათრიმლავ

ნივთიერებებს 2%-მდე, ფისებს 6,5%-მდე, ორგანულ მჟავებს, გლიკოზიდ ვიბურნინს, ფლავონოიდებს, ვიტამინებს ჩ და -ს, ნაყოფში ბევრია ასკორბინის მჟავა, შაქარი, სათრიმლავი ნივთიერებები, ორგანული მჟავები, კაროტინი, ვიტამინი .

ხალხურ მედიცინაში ძახველის ქერქის ნახარში გამოიყენება კრუნჩხვების, უძილობის, ისტერიის დროს, რადგან მას გააჩნია დამამშვიდებელი მოქმედება. ამისათვის, 2 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ქერქი მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და მდუღარე წყლის აბაზანაში გააჩერეთ 30 წთ, შემდეგ გააცივეთ ოთახის ტემპერატურაზე 10 წთ-ის განმავლობაში, გადაწურეთ. მიღებული ნახარში შეავსეთ საწყის მოცულობამდე (200 მლ) ანადუღარი წყლით. დალიეთ 1/2 ჭიქა 2-ჯერ დღეში, ან 1-2 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ. ეს ნახარში კარგად მოქმედებს ბავშვებზე გაცივების დროს, გამოიყენება აგრეთვე როგორც სისხლის აღსადგენი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება მშობიარობის შემდგომ პერიოდში; ასევე გინეკოლოგიური დაავადების დროს სისხლისდენის შემთხვევაში, ბუასილის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს, როგორც ოფლმდენი საშუალება.

დამამშვიდებელი მოქმედება აქვს აგრეთვე ძახველის ნაყოფსაც, მისგან ამზადებენ ჩაის: 1 სუფრის კოვზს დაასხამენ 1 ჭიქა მდუღარეს და სვამენ 1/2 ჭიქას 2-ჯერ დღეში. ასეთი ჩაი შეიცავს დიდი რაოდენობით ჩ ვიტამინს. ნედლი ნაყოფის წვენი და ასეთი სახის ჩაი სასარგებლოა ჰიპერტონული დაავადების დროს.

ძახველის ნაყოფი ძალიან სასარგებლოა მძიმე ავადმყოფებისათვის გამოჯანმრთელების პერიოდში, როგორც გამამაგრებელი საშუალება.

ნედლი ნაყოფი ან მისგან მომზადებული წვენი, კისელი, ჟელე შეიძლება მიიღოთ ვიტამინების ნაკლებობის დროს.

ხალხურ მედიცინაში ძახველის ნაყოფს იყენებდნენ როგორც საფაღარათო, მადეზინფიცირებელ საშუალებას. ნაყოფის ნახარში თაფლთან ერთად კარგია ზედა სასუნთქი გზების ანთების, კუჭის აშლილობის დროს. ძახველის ნაყოფის ნაყენი გამოიყენება აგრეთვე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ენტეროკოლიტების, გულის ან თირკმელების დაავადებით გამოწვეული შეშუპების, კანის წყლულოვანი და ჩირქოვანი დაავადების დროს.

ნაყენის მოსამზადებლად 2 სუფრის კოვზი ნაყოფი მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში. დაჭყლიტეთ, დაასხით თანდათანობით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ცხელი ანადუღარი წყალი, დაახურეთ თავსახური და გააცხელეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 15 წთ, შემდეგ გააცივეთ ოთახის ტემპერატურაზე 45 წთ-ის განმავლობაში, გადაწურეთ, დარჩენილი მასა გამოწურეთ. მიღებული ნაყენი გააზავეთ ანადუღარი წყლით საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. შეინახეთ გრილ ადგილას არაუმეტეს 2-3 დღე-ღამისა. მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში.

ახალგაზრდა ტოტების ქერქის ნახარში კარგი საშუალებაა ფეხების ოფლიანობის დროს.

ძახველის წვენი გამოიყენება აგრეთვე საოჯახო კოსმეტიკაში ფერისმჭამელების მოსაშორებლად და დიათეზის დროს (ისვამენ სახეზე 30 წთ-ით ადრე დაბანამდე).

კომბოსტოს მწნილი

მასალა

4-5 თავი კომბოსტო
6-7 ცალი ჭარხალი
10 ცალი დაფნის ფოთოლი
5-6 ცალი წითელი მწიწაკა
სამ ლიტრა წყალზე 4 ს. კ. მარილი

მომზადების წესი

კომბოსტო დავჭრად ოთხად ნაწილად. ჭარხალი დავჭრად თხლად ნაჭრებად. ჭყრჭელში ძირზე ჩავალაგოთ დაფნის ფოთლები, წიწაკა და ჭარხალი ცოტა. დავალაგოთ კომბოსტოები. ასე გავიმეოროთ სანამ ჭურჭელი არ შეივსება. ცალკე გავაკეთოთ მარილწყალი, მარილი რომ გაიხსნება კარგად მერე დავასხათ კომბოსტოს ზემოდან. ზემოდან დავადოთ სიმძიმე. დაველოდოთ 10 დღე სანამ დამწნილდება.

მწვანე პომიდვრის მწნილი

მასალა

პამიდორი - 1 კილოგრამი
მარილი - 25 გრამი
წიწაკა - 10 გრამი
ნიორი - 50 გრამი
ნიახურის ფოთლები - 100 გრამი
კამა და ოხრახუში - 100 გრამი
ქინძი - 20 გრამი

მომზადების წესი

შევარჩიოთ სიმწიფეში შესული საღი მწვანე პომიდვრები, მოვაშოროთ ყუნწები; შემდეგ გავრეცხოთ ცივ წყალში და გავჭრათ თითოეული შუაზე მრგვალად ისე, რომ ერთიმეორეს არ მოშორდეს. ამავე დროს გავარჩიოთ და გავრეცხოთ ახალი ქინძი, კამა, ოხრახუში. ნიახურის ფოთლები, მივუმატოთ მწვანე წიწაკა, გარჩეული ნიორი და ყველა ესენი დავკეპოთ ძალიან წვრილად; ამრიგად მომზადებული ბოსტნეულების ჩასართავი მოვათავსოთ სუფთა ჭურჭელში.შემდეგ შუაზე გაჭრილ პამიდვრებს მოვაყაროთ მარილი და ჩავურთოთ ბოსტნეულის მზა ჩასართავი, თითოს დაახლოებით 10 გრამი; შევაერთოთ და ჩავალაგოთ თიხის ან მინის ჭურჭელში, ისე, რომ მთლიანად გაივსოს. დავახუროთ თავი და დავდგათ გრილ ადგილას. პომიდორი თვითონ გამოუშვებს სითხეს იმდენს, რომ დაიფაროს. 10 დღის განმავლობაში იგი უკვე დამჟავდება.

სასწაული გამოღვიძება

ღმერთი რომ სასწაულთმომქმედია, ამაში უკვე არაერთხელ დავრწმუნდით. ჩვენ, უფლის შვილებს სიბერემდე რას მოგვივლენს სასწაულად, რისთვის გვამზადებს და როგორ გვაცოცხლებს შემდგომში, არავინ იცის. ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ქალბატონი – ნელი ბერაია ორი შვილის გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ ნაცისფერ ფერებში ხედავდა სამყაროს, ხშირად სიცოცხლეზე ხელჩაქნეული და შვილების უსაზღვრო მონატრებით აღსავსე სიკვდილს თვალებში უყურებდა, წუხდა, ეშინოდა, ამბობდა, ცოტაც და გავგიჟდებიო, მაგრამ სწორედ აქ გამოუჩნდა უფალი მხსნელად.

ჩასთვლიმა, უბრალოდ თვალები ჰქონდა დახუჭული, რომ გარდაცვლილი დეიდა გამოეცხადა. წინ დაუდგა, ის მხატვარი იყო, საკმაოდ კარგი მხატვარი, მაგრამ თამარ მეფის დახატვა მაინც ვერ გაბედა.

– „აბა, მე მაინც დამხატე–მეთქი, ვეუბნებოდი და იცინოდა.

– თავი დამანებეო!

მოკლედ მოვიდა და დამიდგა წინ. ჯერ გავუღიმე, მერე კი ისევ გავუბრაზდი, რომ გეხვეწებოდი რატომ არ დამხატე–მეთქი.

– აიღე ფანქარი და შენი თავი თავად დახატეო!...

– რას ამბობ, ხატვისა მე რა ვიცი–მეთქი!

უცებ მომიტრიალდა და თავი დამიქნია.

– ნელი, სცადე, შენ აუცილებლად გამოგივაო!"

– თვალი გაახილა, უიმე, დეიდა დამესიზმრა, თქვა და ჩვეულებრივ ჩათვალა ყოველივე... გავიდა დრო. ერთხელაც ისევ ზის დარდით გასავათებული და... თითქოს ვიღაც მოეპარა, ხელი ჰკრა, გიჟივით წამოვარდა, მიიხედ–მოიხედა, ... შეყოვნდა, არ იცოდა რატომ ადგა, რა უნდოდა, უცებ დეიდამისის დანატოვარ ალბომს მივარდა, – შიგ დიდი მხატვრების რეპროდუქციები და სახატავი ფურცლები ეწყო. ერთი სწრაფად ამოგლიჯა, ფანქარი იპოვა, მოხაზა და ხედავს, რომ რაღაც გამოუვიდა. ხატავს, ხატავს და აი, გამოვიდა! – თამარ მეფე! პირველად ცხოვრებაში! არასდროს არაფერი დაუხატავს.

ეს ყველაფერი სამოცდახუთი წლის ასაკში მოხდა, აკი გითხარით უფალი სასწაულებისთვის გვამზადებს– მეთქი. ეს კიდევ რა არის, შემდეგ ნახატის მძივებით გაწყობა დაიწყო. კარგად ახსოვს როგორი სიფრთხილით მუშაობდა თამარ მეფის თვალებზე, რამდენჯერაც ააწყო იმდენჯერ დაშალა, მეტყველი თვალები უნდოდა გამოსვლოდა. მერე ნახატს რომ ჩაუარა და იგრძნო, როგორ გააყოლა მზერა, მაშინღა დამშვიდდა. აი, ეს იყო ამ საოცრებათა სამყაროს დასაწყისი – მას შემდეგ დილის 6 საათზე, მზის სხივთან ერთად დგება და ხატვას იწყებს. ისე, რომ დაღამებასაც ვერ გრძნობს. დღემდე ასეა. უკვე მოგვიანებით მიხვდა, რომ ღმერთმა ეს ყველაფერი იმიტომ მოუვლინა, რომ წუთისოფელს ბოლომდე გაევლო, ასეთი იყო უფლის ნება.

გავიდა დრო, ქალბატონმა ნელიმ უამრავი ნამუშევრები შექმნა, რომლებმაც გააოცა ქართველი და არა მარტო ქართველი დამთვალიერებელი, როგორც თავად ამბობს ქართველებს რატომღაც სიკვდილის შემდეგ გვჩვევია დაფასება, – იქნებ ახლა შევხედოთ ჭეშმარიტი მზერით თითოეულ მათგანს და სათანადოდ დავაფასოთ იგი. ისიც ჩვენი სენია, რომ „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს". წარმოიდგინეთ მსგავსი უცხოელი ხელოვანი რომ სტუმრობდეს ქალაქს, როგორ პატივს მივაგებდით და ავაღზევებდით, მაგრამ რას ვიზამთ, რეალობა ასეთია. ქალბატონი ნელის ერთი ნახატი ოთხი ათას ხუთას დოლარად გაიყიდა სანქტ–პეტერბურგის სასტუმროს მეპატრონემ შეიძინა, მერე კი ოცი ათას დოლარად გაყიდა.

ღვთისმშობლის სამი ხატი დახატა და შეამკო. ორი უკვე გაიყიდა. ერთი კი (ზომით 45X50 სმ) იმ კაცს უნდა აჩუქოს, ვინც ბევრი სიკეთის მთესველია – ეს ბიძინა ივანიშვილია.

მისი ნახატები უცხოეთშია გატანილი. ოთხი ნამუშევარი კერძო კოლექციაშია დაცული. მოთხოვნა კიდევ არის. უკვე თერთმეტზე მეტი გამოფენა ჰქონდა და ბევრჯერ შესთავაზეს უცხოეთში ნამუშევრების გაყიდვა, მაგრამ უარი თქვა, ამბობს: – „ყოველივე, რაც ამქვეყნად ჩემს მოვლინებას მოჰყვა, მინდა იქ დარჩეს, სადაც ვიცხოვრე, ის ჩემი სამშობლოა!"

ნინო რეხვიაშვილი

მეგრული პოეზია

გიგა ქავთარაძე

„ჩქიმი ნინა“

სამარგალო,
მარგალური-
ღორონთიში გუნარჩქინა.
მა ვამოკო თქვან დინაფა,
უთქვანეთი მუ ბქიმინა.
ოთხ წანა რე ქართის ვორექ,
თაქ მაფ ნაქირებუ ბინა.
მარა, ჩქიმ კუნთხუშ სისკვამე...
თოლს აწმორე ირო თინა.
აიეტ დო მედეასი,
თე ნინაშა უჩიებუ...
„ანიკეტიშ ნერო ეაბრე
მარგალ ბოში უჩინებუ.“
თოლებს ბწკურუნქ, შორსი ვორწეექ,
ჩქიმ კოლხ მაფას გუბაზისი,
ირო ჩქიმ გურს იუაფუ -
ჩქიმ ზუგდიდ დო ჩქიმ ფაზისი.

თის

მიმენარტი ჩქიმ სკვამ ცირა...
გურ მაფ ოროფათი ეფშა.
მუშენი რე მუშმოცირანს -
ქიდებლახი სკანი გეშა?
მიორს მა სკან თოლეფ გვირა,
ჯუნა მოკო სკანი ხეში,
სკან მასკვამა მეტ სო ბძირა,
ხათეცი რექ სამოთხეში.

* * *

გუთმოთანდუ დო ისერუ,
ისერუ დო გუთმოთანდუ,
დღალეფ გინმას მისერგელუ,
მოფერაფას მითინს ვანდუ..
ბორჯ მეურს, მა ეკოფთხოზუქ,
მუჭოთ ქირი მოლაღურსი,
ქიფცხვანტალუქ მარა იშენ,
ირფელ ჭუა ჩქიმდა მურსი...
მემობელიშ უდეს ვორდი,
სუმარ უნდუ აბაშაშე,
ჩქინობურო ვაჩიებედუ,
მუქ მოძირუ, მუ დუაშე?
მუ მოსკიდნა თე ქიანას,
ღურაშა მის აწარინე,
მარა ნინა მიღურნა დო
ათეშ გურშენ მანგარინე...
საქვარ თინა რენო ხვალე,
შვე, ჭკუმე დო რმღაფილი რდე?
სამარგალოს ქიდებადდა -
მარგალურო ოკო მირდე!
ნინა სქანი გიორდას
დღასი ვეგიჭყოლიდუა,
ვარაგადაფუა კოცს
სოვრე მორთუ დო სო იდუა!

სახალხო დღესასწაული სამეგრელოში

კოლხური თეთრი

თემო სახურია

საქართველო - სამონეტო ცივილიზაციის უძველესი კერაა. კოლხური თეთრი კი მსოფლიოში წარმოებულ მონეტათა შორის ერთ-ერთ უძველეს ფულად ერთეულს წარმოადგენს.ფულს ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციას. საუკუნეების სვლასთან ერთად ფულადი ერთეულებიც მუდმივად იცვლებოდა. მას ცალკეულ ქვეყანაში თავისი ისტორია აქვს და თითოეული თავისთავად უნიკალურია. სწორედ ამ უნიკალურ და უძველეს მონეტების ჯგუფს მიეკუთვნება „კოლხური თეთრი“ რომელიც ძვ.წ. VI ს-ში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე იჭრებოდა. გიორგი დუნდუას მოსაზრებით „კოლხური თეთრი მოჭრის ტექნიკითა და შესრულების მხატვრული დონით არაფრით ჩამოუვარდება ბერძნული სამყაროს თანადროულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს“.

კოლხური თეთრის რამოდენიმე ტიპი და ნომინალი არსებობს, ტეტრადრაქმა, რომლის წონაა 13 გ. მის შუბლზე გამოსახულია მარცხნივ მიმართული ლომის თავი, ზურგზე ფრთოსანი რაშის პროტომა.დიდრაქმა: I ტიპი. შუბლზე — მარჯვნივ და მარცხნივ მიმართული მწოლიარე ლომი; ზურგზე — მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა. II ტიპი. შუბლზე ხაზოვან რკალში ადამიანის თავის პროფილი; ზურგზე — ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული ადამიანის ისეთივე თავები, როგორიც მინეტის შუბლზეა. III ტიპი. შუბლზე — ხაზოვან რკალში ადამიანის თავის პროფილი; ზურგზე - ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი 2 ხარი. კოლხური დიდრაქმების საშუალო წონაა 8,99—9,90 გ.;

დრაქმა: შუბლზე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. 5,52 გ. ნახევარდრაქმები: I ტიპი. შუბლზე - ლომის თავის პროფილი მარჯვნივ; ზურგზე — მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა. საშუალო წონა — 2,17 გ. II

ტიპი. შუბლზე მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული ადამიანის თავი, ზურგზე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. წონა 1,2-2,6 გ. ამ ტიპის მონეტების ზოგიერთ ცალზე ამოტვიფრულია ბერძნული ასოები.

გიორგი დუნდუა წერს: „სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი მონეტა I ტიპის კოლხური დიდრაქმის სახელწოდებით აღინიშნება. ისიც საკმაოდ იშვიათია. სამი ცალი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ორი - ერმიტაჟში, თითო-თითო ცალი ქუთაისის, ბრიტანეთის, ბერლინისა და ბოსტონის მუზეუმებში. აქედან - ოთხი დას. საქართველოს ფარგლებშია აღმოჩენილი (ფოთს და ზუგდიდის რ-ნის სოფ. ახალსოფელში ს. (მაკალათია, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ.XIV, 1947, გვ.425-428)), რაც ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებისადმი მათი მიკუთვნების მტკიცე საფუძველს ჰქმნის. ასევე იშვიათია II ტიპის კოლხური დიდრაქმა, რომლის შუბლზე გამოსახულია ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ, ხოლო ზურგზე ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ორი ისეთივე თავი, როგორიც მონეტის შუბლზეა გამოსახული. II ტიპის დიდრაქმაც რამდენჯერმეა ნაპოვნი ძველი კოლხეთის მიწა - წყალზე (ფოთი, ახალსოფელი). მას ძვ.წ. V ს-ით ათარიღებენ. III

ტიპის კოლხურ დიდრაქმას ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად აღმოჩენილა 1910 წ. ფოთში და თავის დროზე ხელთ ჩავარდნია ჩეხ მეცნიერს, ე.პოხიტონოვს. ამჟამად ეს მონეტა დაკარგულია. საბედნიეროდ, ე.პოხიტონოვს დარჩენია მისი ჩანახატი, რომელიც გამოაქვეყნა კიდეც. II ტიპის დიდრაქმისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ ზურგზე ადამიანია თავების ნაცვლად ერთმანეთს დაპირისპირებული ხარის თავებია გამოსახული. ეს მონეტა II ტიპის დიდრაქმის სინქრონულია."

კოლხურ მონეტებზე როგორც წესი წარწერები არ არის,მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე გვხვდება ბერძნული ასოები როგორც ზემოთ მოგახსენეთ. მკვლევართა ნაწილი კოლხური თეთრის მოჭრას კოლხეთის სამეფოს მიაწერს, ნაწილი კი — შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, არსებულ ბერძნულ ახალშენებს.გამოთქულია მოსაზრება რომ კოლხური თეთრი ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებშია მოჭრილი, ამის დამამტიკებელ ერადერთ საბუთად შეიძლება მივიჩნიოთ ზოგიერთი მონეტის ბერძნული ასოები.გიორგი მელიქიშვილი წერს: „კოლხური მონეტები ძირითადად გავრცელებულია ბათუმსა და სოუმს შორის მდებაზე ტერიტორიაზე, ე.ი იმ ფარგლებში, რომელიც შეადგენდა კოლხეთის სახელმწიფოს ძირითად ტერიტორიას ძვ.ა VI-IV საუკუნეებში მოჭრილია ისინი სწორედ იმავე პერიოდში, ამასთანავე, ეს მონეტები უფრო მეტად გავრცელებულია არა ზღვის პირა ზოლში, არამედ კოლხეთის შიდა რაიონებში ეს ერთ-ერთი საბუთია, იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ამ მონეტებს კოლხეთის სახელმწიფო ხელისუფლება სჭრიდა. ამავეს უჭერს მხარს მონეტებზე მოთავსებული გამოსახულებების კავშირი ადგილობრივ კულ-ტურულ-რელიგიურ წარმოდგენებთან. ქ. ხონში განძში ნაპოვნი მონეტის ერთ-ერთი ეგზემპლარი დამზადების პროცესში მყოფი ჩანს (ერთი მხარე გლუ-ვი აქვს), რაც, აგრეთვე მათ ადგილობრივ დამზადე-ბაზე მეტველებს. კოლხური თეთრი გავრცელებული იყო კოლხეთის სამეფოს მთელ ტერიტორიაზე და ასევე კოლხეთის სამეფოს მიდმდებარე ტერიტორიებზე, ყირიმში ნიმფეის არქაულ ტაძრის გათხრის დროს ძვ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევრის ფენაში აღმოჩდა კოლხური პითოსების (დიდი ზომის ჭურჭლის) ნამსხვრევები, კოლხური ვერცხლის მონეტებთან (კოლხურ თეთრთან) ერთად. კოლხური თეთრის არსებობა ნათელს ხდის იმ დროინდელი კოლხეთის სამეფოს სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას გ.მელიქიშილის მოსაზრებით კოლხური მონეტების გავრცელება კოლხეთის სამეფოში და მათი აღმოჩენა სხვა ქვეყნებში, ისევე უცხოური მონეტების აღმოჩენა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე,ნათლად მეტყველებს იმაზე,რომ მონეტის ინტესიური მიმოქცევა დამახასიათებელია კოლხური საზოგადოებისთვის, რაც მისი სოცია-ლურ-ეკონომიკურ განვითარების მაღალ დონეზე მიუთიტებს.ეს გულისხმობს სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის დიდი განვითარებას,პროფესიულ ვაჭართა სოციალურ ფენის არსებობას.ყოველივე ეს მოწმობს, რომ კოლხური საზოგადოება ამ დროს სახელმწიფოს წარმოადგენდა. კოლხური მონეტები აღმოჩენილია ყირიმში, ქერსონესში სოჭის რაიონში, ტრაპეზუნტის მიდამოებში, ქართლში-არმაზში და სხვა..დასავლეთ საქართველოში კოლხური თეთრი ნაპოვნია ათასობით, განძის სახით. ამრიგად კოლხური ცივილიზაცია სამონეტო ცივილიზაციის სათავეებთან დგას,რამეთუ ისტორიული ცნობები და არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ რომ, კოლხეთის სახელმწიფოს ქონდა საკუთარი ფულადი ერთეული, რაც იმ პერიოდის მსოფლიოსთვის უიშვიათეს მოვლენას წარმოადგნდა.

სიკეთის ნერგი იხარებს

ელგუჯა ჯგერენაია

ამბავს, რომელიც ქვემოთაა მოთხრობილი, შელამაზება ან რაიმეს დამატება არ სჭირდება. იგი სიკეთისა და ვაჟკაცობის ბრწყინვალე მაგალითი. სიკეთეს და ვაჟკაცობას კი მაშინ აქვს მეტი მადლი, როცა ძალაც ახლავს თან. საბედნიეროდ, ამ სიკეთის მთესველს ძალაც აღმოაჩნდა.

ეს დიდი ხნის წინ, ამ წერილის დაწერიდან 49 წლის წინათ მოხდა.

1962 წლის გაზაფხულზე კომუნარ ჯამბურია (დღეს იგი მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილის რწმუნებულია) სამსახურში მიდიოდა სოფელ სალხინოში. ორივე სოფელს მდინარე ტეხურა ჩაუდის. სალხინოში გზა ბონდის ხიდით გადადის. ხიდზე გადასვლისას ხიდის თავთან ქალი შემოხვდა გვერდით ათიოდე წლის ბავშვით. არ გაუვლია ამის შემდეგ 20—25 მეტრი, რომ ბავშვის განწირული ყვირილი შემოესმა, რომელიც მას საშველად უხმობდა. კომუნარი სწრაფად შემობრუნდა, რამდენიმე წამში მდინარე საშინლად ადიდებულიყო და ხიდისთვის საყრდენები გამოეცალა. ხიდზე შემდგარი დედა-შვილი ძირს დაეტანა. კომუნარი არც დაფიქრებულა, ისე გადაეშვა მათ დასახმარებლად. რა თქმა უნდა, ორივეს ერთდროულად ვერ მიეშველებოდა. ჯერ ბავშვს დასტაცა ხელი და დიდი ძალისხმევით შეძლო გაეყვანა სამშვიდობოს. სწრაფად მობრუნდა უკან დედის დასახმარებლად, მაგრამ იგი უკვე ადიდებულ წყალს წაეღო.

კომუნარი იხსენებს, რომ მდინარის ნაპირებზე ხალხი იდგა. სათავიდან მოვარდნილ წყალს კი მოჰქონდა ხეები, პირუტყვი და ყველაფერი, რამაც ვერ შეძლო თავი დაეღწია ნაუცბათევი წყალდიდობისათვის. ვინმეს რომ ეცადა დახმარება, შეიძლებოდა დედის გადარჩენაც მოხერხებულიყო. მას დღემდე ვერ ამოუხსნია სხვისი ბედით ადამიანთა ასეთი გულგრილობის მიზეზი. რა იყო ეს — სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი, თუ უბრალოდ ადამიანური შიში ადიდებული მდინარის წინაშე, რომელშიც შესვლას ნამდვილი ვაჟკაცის მეტი ვერავინ გაბედავდა.

ქალი რამდენიმე ათეული მეტრის ქვემოთ მიესილა მდინარეს. იგი სოფელ გურძემის მცხოვრები დუშა გოგიას მეუღლე ოლია ხურცილავა აღმოჩნდა, რომელიც მამისეული სახლიდან, სოფელ სალხინოდან ბავშვთან — მზევინართან ერთად ბრუნდებოდა სახლში. მათ მრავალშვილიანი ოჯახი (შვიდი ქალ-ვაჟი) ჰყავდათ.

მრავალი წელი გავიდა ამ შემთხვევიდან. დუშა გოგიამ ვერ მოახერხა თავის კეთილისმყოფელს დაკავშირებოდა. მრავალშვილიან მამას ბევრი საზრუნავი გააჩნდა. შვილები დაზარდა. ოჯახები შექმნეს, მათ ბედნიერებას მოესწრო და სულ რამდენიმე წლის უკან გარდაიცვალა.

მხოლოდ კეთილი შემთხვევის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ კომუნარ ჯამბურია და მზევინარ გოგია ერთმანეთს დაკავშირებოდა. კომუნარ იმ გადაწყვიტა მოენახულებინა მისი ოჯახი. გურძემიდან მზევინარ გოგიას ბიძაშვილი ელვარდ გოგია წავიყვანეთ მეგზურად. კომუნარის სახლში მანქანაში რაღაც-რაღაცეები ჩაალაგეს, რისთვისაც თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია.

მარტვილში კი კომუნარიმ მაღაზიაში პროდუქტების ყიდვა მოინდომა. მაშინ კი ვიკითხეთ, თუ რისთვის სჭირდებოდა ყველაფერი ეს, რაც შემდეგნაირად ახსნა:

— მეგობრებო, კი მივდივართ იმ ოჯახში სტუმრად, გველოდებიან კიდეც, მაგრამ ხომ იცით დღევანდელი მდგომარეობა: შეიძლება ოჯახში არ არის საშუალება და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენოთ ჩვენი სტუმრობითო.

— ამის პირობას მე გაძლევთ, რომ იქ ჩვენ ერთ-ერთი საუკეთესო და ღონიერი ოჯახი დაგვხვდება, — დაიმედა ელვარდი გოგიამ.

ელვარდი მართალი აღმოჩნდა. აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში რეზო ბესელიასა და მზევინარ გოგიას ოჯახი ერთ-ერთი საუკეთესოა. უბრალო მშრომელ ადამიანებს ორსართულიანი ოდით, სამზარეულო სახლით და სხვა საჭირო ნაგებობებით დამშვენებული კარ-მიდამო აქვთ, რომელშიც დღეისათვის სამი შთამომავლობა ცხოვრობს. რეზო და მზევინარი უკვე ბაბუა და ბებია არიან. ჰყავთ შვილები და შვილიშვილები.

ოჯახში დიდებულად მიგვიღეს. როგორც წესი, ახლობლებიც მოიწვიეს. გვერდით თავის საუკეთესო ოჯახით ცხოვრობს მზევინარის და გულნარა.

გიორგობის დღეს კომუნარ ჯამბურიამ მთხოვა მის ოჯახში მივსულიყავი, ვინაიდან ისინი ჰყავდა სტუმრად. ჩემთვის გასაგები იყო, ვინ იყვნენ „ისინი“.

ცოტა დაგვიანებით მისულს კომუნარის ოჯახში მზევინარ გოგიას ახლობლები გამაცნეს: შვილები, სიძე და დები. იქ მათი ოჯახების და ნათესავების უკეთ გაცნობა და დაახლოება მოხდა. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მეტად კარგი მოსაუბრე გამოდგა მზევინარ გოგიას უმცროსი და, ამჟამად ქუთაისში მცხოვრები ნანი გოგია, რომელიც თავისი ოჯახის ისტორიიდან რამდენიმე ეპიზოდს მოჰყვა, რაც ცალკე საუბრის საგანია და საუკეთესო მაგალითია ზნეობრივი თვალსაზრისით.

როგორც საუბარში გაირკვა, კომუნარისათვის ასეთი შემთხვევა ერთადერთი არ ყოფილა. ის ბევრ ადამიანს დახმარებია, მრავალი სიცოცხლე გადაურჩენია და სიკეთე უთესია. მას გულუბრყვილოდ უკვირს საიდან მოდის ბოროტება, გაუტანლობა, რად ხდება ქრისტეს მცნებათა განზრახ დარღვევა.

იმდღევანდელი მათი სიხარულისა და ერთმანეთის მიმართ გამოხატული სიყვარულის გადმოსაცემად, როგორც იტყვიან, ძალა ნამდვილად არ მყოფნის. იმის იმედად ვრჩები, რომ სათქმელს ეს საოცარი ამბავი გაალამაზებს. ობლის კვერი გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო — ამაზეა ნათქვამი, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო — ამაზეა ნათქვამი, კარგი ქენი, ქვაზე დადევიო — ესეც ამაზეა ნათქვამი და ისიც: სიკეთის ნერგი იხარებს, გინდ დარგო სიპსა ქვაზედაო. სულხან-საბას არ იყოს, ამით „ენათ სიმრავლეს“ კი არ ვიწვრთნი, მაგრამ ასეთი ამბის გამგონეს ათასი ასეთი გამოთქმა გაგახსენდება, თუ სადმე მოგისმენია ან წაგიკითხავს.

ზღაპარივით მათი ამბავის მოსმენის შემდეგ სურვილი მიჩნდება ცუდად დაწყებული ისტორია, შემდეგში რომ კარგად გაგრძელდა, სულ დაუსრულებლად ასე წარიმართოს. ჩვენც ეს ვუსურვოთ. არავინ იცის, ვის რა ელოდება მომავალში, მაგრამ იმის იმედი ყველას დაგვრჩა, რომ მათი შვილები და შთამომავლებიც არ დაკარგავენ ერთმანეთს.

“ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობა“
გთავაზობთ წიგნების, ფასიანი
ქაღალდების ბეჭდვას,
აწყობა-დაკაბადონებას.
დარეკეთ ნომერზე: 599 74 68 10



რეზო ჭეიშვილის ნაბეჭდი

„1974 წლის ზაფხულია. თანაკურსელ ქალიშვილებთან ერთად გეზი ავიღე კუს ტბისკენ. ფეხით ავდივართ. სუფთა ჰაერზე მალე მოგვშივდა, მაგრამ საკმარისი ფული არ აღმოგვაჩნდა, რომ კაფეში შევსულიყავით. „სოფელმუზეუმს“ რომ მივუახლოვდით, მწიფე ჭერამის სუნი გვეცა. ღობის გადაღმა, ჭერამით დახუნძლული ხე დავინახეთ.

რა ვქნათ? კვირა დღეა, ეზოში სულიერის ჭაჭანება არ არის, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა: ხომ შეიძლება შემთხვევით ვინმემ გამოიაროს. გოგონები მაქეზებენ — ნუ გეშინია, ადი ხეზე, თუ რამე საფრთხე გამოჩნდა, განიშნებთო.

ქალიშვილების წინაშე სიფრთხილეს როგორ გამოვიჩენდი. გადავახტი ღობეს და წამში ხის კენწეროზე მოვექეცი. პარკი თან მაქვს. ხალისით ვყრი შიგ მწიფე ჭერამს. მესმის ღობესთან ჩასაფრებული გოგონების კისკისი. პარკი ავავსე. ახლა ამის ჩამოტანაა პრობლემა. რაც მეტ სიფრთხილეს ვიჩენ, მით მეტ შეცდომას ვუშვებ: ტოტი ჩამომიტყდა, ცოტა ჭერამიც დამეფანტა. არა უშავს, გოგონებს ეყოფათ. თითქმის ჩამოსული ვარ, უკვე ჩამოხტომაც შემიძლია... და უცებ, ბედი არ გინდა? საიდანღაც ნაგაზი ძაღლი გამოვარდა, ჭერამის ხეს აეტოტა და ღრენა დამიწყო. თუ მომწვდა, დავიღუპე, ჩამომათრევს. ერთი საფეხურით ავიწიე. პარკი მიშლის ხელს, მაგრამ ვერ ვიმეტებ. ძაღლი არ მეშვება. იქნებ რამე მოვუხერხო ამ ძაღლს, ჭერამს შორს გადავუგდებ,



გამახსენდა შავ კოსტუმში გამოწყობილი, მაღალი, პირხმელი მწერალი, რომელიც დიდხანს იდგა ერთ ადგილას და თავის სამშობლოს ბედზე ფიქრობდა, მე კი ყარაული მეგონა და ყარაული გამოდგა — თავის სამშობლოს ინტერესების ყარაული!“.

როგორც კი გაეკიდება, ჩამოვხტები და გავიქცევი. დრო არ მიდის, დრო სულ გაჩერდა. გოგონების ჩურჩული მესმის. საიდანღაც მოისმის მამაკაცის ხმა: ძაღლს ეძახის, ძაღლი მყისვე გაიქცა, მზერა გავაყოლე. მივიდა პატრონთან და ფეხქვეშ დაუწვა. გამიხარდა, შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ კვლავ ეჭვმა შემიპყრო: თუ ეს კაცი ყარაულია?! ვაკვირდები: დგას ერთ ადგილას, ხელჯოხს დაყრდნობილი და ფიქრობს რაღაცას. შავი კოსტიუმი და თეთრი პერანგი აცვია, კულტურული ადამიანი ჩანს. ვფიქრობ: „არა, არა, შეუძლებელია ეს კაცი ყარაული იყოს“. მაგრამ... ტყუილად ხომ არ მოვიდოდა აქ? უცხოელი ტურისტიც ხშირი სტუმარია აქაურობის, ამიტომაც ყარაულად განათლებული, ენების მცოდნე კაცი აუყვანიათ! ვაი, ჩემ თავს. რაღა ვქნა, ძაღლს გავუსხლტები, მაგრამ ამ კაცის მზერას როგორ დავუსხლტე? ვმერყეობ. გოგონები რაღაცას მანიშნებენ, თავგზა მებნევა. არაფერი მესმის მათი ჟესტიკულაციების.

— უჰ, საბრალო მამაჩემი, შვილი ლექციებზე ჰგონია და ის კი საქურდავად დადის, რა მოუვა მამაჩემს, რომ ამ ამბავს გაიგებს? ამასობაში, ყარაული ფიქრებიდან გამოვიდა და მუზეუმის ეზოს სიღრმისკენ გაემართა ძაღლთან ერთად. დრო ვიხელთე და ხიდან ჩამოვხტი.ცოტა ფეხიც ვიტკინე, მაგრამ ეს არაფერი. ქალიშვილები მეხვევიან, მშვიდობიანად დაბრუნებას მილოცავენ. მე კი ბედს ვწყევლი, ჯერ ძაღლმა კინაღამ შემჭამა და მერე ეს ყარაული...

— ვინ ყარაული? — ეცინებათ გოგონებს, — ბიჭო, ეს ყარაული კი არა, მწერალია, კონსტანტინე გამსახურდიაა.

— რას ამბობთ? — შევძახე და წამიერად აღვიდგინე სურათი: მაღალი კაცი, ხმელ-ხმელი, მოღრუბლული თვალებით!

დაძაბულობამ იმდენად დამღალა, ტბაზე არ ავსულვართ, უკან დავბრუნდით.

ეპილოგი.

ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ ჯარში გამიწვიეს. ვმსახურობდი აზერბაიჯანში, ქალაქ საბირაბადში. რამდენიმე ვიყავით საქართველოდან. ერთი სვანი დამიმეგობრდა, ლიტერატურა უყვარდა. ამანათით მარტვილიდან გაზეთებსაც მიგზავნიდნენ, რომელთა პირველი წამკითხველი სვანი იყო. ერთხელაც მივიღე ამანათი, გაზეთები ამოვიღე და სვანს გადავაწოდე. ისიც ჩამოჯდა სკამზე, გადაშალა და იყვირა: — ბიჭო, ვინ გარდაცვლილა?

— ვინ?

— ვინა და ჩვენი ბაბუა, კონსტანტინე გამსახურდია?

სვანს ისე მოსწონდა, ჩემი შეხვედრა კონსტანტინე გამსახურდიასა და მის ძაღლთან „სოფელ-მუზეუმის“ ეზოში, რომ ბევრჯერ მომაყოლინა ეს ამბავი. დავხედე მწერლის სურათს და ყველაფერი გამახსენდა... გამახსენდა შავ კოსტუმში გამოწყობილი, მაღალი, პირხმელი მწერალი, რომელიც დიდხანს იდგა ერთ ადგილას და თავის სამშობლოს ბედზე ფიქრობდა, მე კი ყარაული მეგონა და ყარაული გამოდგა — თავის სამშობლოს ინტერესების ყარაული!“.

P. S. ეს ამბავი რეზომ ორჯერ მომიყვა. ერთხელ, 30 წლის წინ, როცა ავად გავხდი და მარტვილის საავადმყოფოში დამაწვინეს. მეორედ — ახლახან, ივლისის ცხელ დღეებში. რეზოს დიდი სურვილი ჰქონდა, ეს ცხოვრებისეული ფაქტი კინოში განხორციელებულიყო, მაგრამ ამაში ვერ დავეხმარე, ავადმყოფობამ შემიშალა ხელი. ახლა?

— ვნახოთ!

რეზო კვესელავა

ზღვის ფერი გაქვს თვალები

ზღვის ფერი გაქვს თვალები და... თავად ჰგავხარ... ზღვას...
თუ არ შეგებრალები და მისთხოვდები სხვას...

მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას;
გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს

ცეცხლს გავატან შენს სამეოფელს; შენს სიყვარულს ქარს
და მოგიკლავ მოღალატე მაგ ნაფერებ ქმარს!

ზღვის ფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას.

კონსტანტინე გამსახურდია

МЫ ВСЕГДА В ДУШЕ С ТОБОЙ...

РОМАН (ДАТО) НАРМАНИЯ

რომან (დათო) ნარმანია, აფხაზეთიდან დევნილია. დაიბადა 1964 წლის 11 მაისს ქალაქ ოჩამჩირეში. დაამთავრა ოჩამჩირის N2 საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო ქუთაისის სამთო-სამშენებლო ტექნიკუმში, სოხუმში დაამთავრა საბუღალტრო.

ჰყავს ოჯახი, ოთხი შვილი, ორი გოგონა და ორი ვაჟი _ ვარდო ნარმანია ქალაქ კიევის დრაგომანოვას სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგია-ფილოლოგიის III კურსის სტუდენტია. ნანა ნარმანია თბილისის N129 საჯარო სკოლის XI კლასში სწავლობს, გიორგი ნარმანია იგივე სკოლის IX კლასის მოსწავლეა, ხოლო დავითი კი VI კლასში სწავლობს.

რომან ნარმანია სამხედრო სავალდებულო სამსახურის II ჯგუფის ინვალიდია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის იყოს კარგი მამა, შვილი და ყველაზე მთავარი, თავისი ერისა და ქვეყნის გულშემატკივარი და მოჭირნახულე.

რომანმა ეს უდიდესი ტკივილი, დაკარგული ტერიტორიების მშობლიური ქალაქ ოჩამჩირის გულწრფელი მონატრება ხატოვნად გადმოსცა თავის შემოქმედებაში. იგი ეფერება ოჩამჩირის თითოეულ მიწა-გოჯს, მისტირის ბედნიერ წარსულს და იმედი აქვს, რომ ურთიერთმიტევების, შეთანხმების საფუძველზე ახლებულად აღვადგენთ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას.

სწორედ ამან განაპირობა მისი ფსევდონიმიც _ „ოჩამჩირელი“.

რომან ნარმანიას ლექსები პერიოდულად იბეჭდება კიევის პრესაში.

გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს, სადიანაც ნათლად გამოსჭვივის ავტორის გულისტკივილი და დაუცხრომელი სურვილი მშობლიური აფხაზეთისა.

* * *

«Очамчира - город мира» лиш в единстве наша сила...

Очамчира, город наш родной, нам трудно жить в дали.
Сердце победило разум, тело не послушалось души...
Не сберегли мы край родной, берег моря, парк любимый.
Родные семьи, соседей и друзей, данные нам Богом и душой.

И вот война своею силой, разбила все наши мечты
И, раскидало нас по свету,как сильный ветер лепестки.
Лишь теперь мы понимаем, что были все в том не правы...
И взор свой к Богу устремляем, чтоб больше не было войны.

Очамчира наш родной, мы всегда в душе с тобой.
Хоть живём сейчас в дали, мы хотим к себе, домой.
Все сомненья и ошибки надо гнать от нас долой
И погибших вечно помнить, каждый был из них герой.

«Очамчира - город мира», ты была для нас как рай.
«Ты жемчужина у моря», пели мы и каждый знай.
Не забудем мы погибших, ну а Бога просим дай
Нам возможность вновь вернутся и, больше нас не раскидай...

Сколько можно дел хороших, сделать в жизни сообща
Коль обиду, зло и зависть, за душою не тая
К делу подойдём мы вместе, мысли свои обобща
Повторять ошибки снова, всем понятно, что нельзя
Да и то понять должны все, что в единстве смысл бытия.

* * *

Мысли часто нас уносят и, есть о чём нам вспоминать
Было время в нашем мире, правил всем матриархат...
Изменилася эпоха и, во главе патриархат.
В борьбе за власть уже сегодня, должен быть объявлен пат
Пока нам природа люди, не поставила всем мат...

Создавая человека, на подобие себя
Наш создатель всё продумал и, просчитал наверняка
Тысячелетия промчатся, пройдут эпохи и тогда
Человечество сознает, что в единстве смысл бытия
И, исчезнут все различия, на планете на всегда...

* * *

Как и время бесконечно, так и мыслям нет преград
Можно в прошлое вернутся и не на тыщу лет назад
Мы и в будущем - то можем побывать. Кто в том не рад?
Главное, чтоб эти мысли со временем свели мы в лад
И конечно, этим мыслям, должен бить и БОГ наш рад...

Начиная с перестройки, вдруг пошёл такой этап,
Всё в союзе изменилось, будто время шло на вспять.
Не разобравшись в ситуации, вновь решили воевать.
В обществе все люди словно, перестали понимать,
Что ошибки былых столетий, повторяются опять.

То-что творится сегодня, научили нас года
Ведь те мысли, что развили Маркс и Энгельс, ещё тогда,
Смысл понятен всем народам и, уверен навсегда.
Но революцию в сознании надо делать нам друзья
А иначе доброй жизни, нам не видеть никогда...

Все мы знаем,что сегодня, никого не обмануть
21 век (с р.х.) на свете, люди ведь уже живут
Обмануть решив кого-то, дела вам не провернуть...
Надо бы в своих расчетах, далеко вперёд шагнуть
Чтоб в глаза мы своим детям, в будущем могли взглянуть.

Есть надежда то - что в мире, зло - добро не победит
Есть и вера в то - что видим, движение к свободе, не остановить
«Страны бывшего союза»- и не только, смогут всех в том убедить
Надо только всем нам вспомнить, как смогли врага побить
И свои народы снова, в дружеский союз объединить.

К этому конечно надо, всем по новому идти
Чтобы, в будущее вместе, нам без страха всем пройти
Чтобы, стало для всех возможным, исполнение мечты
Чтобы, в Божьих поучениях, для себя смогли найти
То, что сможет наконец-то, к светлым целям привести...

* * *

Сколько созвездий на небе? А звёзд? Не сосчитать.
И каждой звезде, в каждом созвездии
Предназначено роль сыграть...
Так и каждая нация, словно созвездие
Должен наш мир освещать.
Ну а люди, будь-то звёзды, на нашей планете
Нацию свою представлять....

Кто не знает, в чём различие, русский я или грузин,
Украинец, молдаванин, белорус иль армянин,
Азербайджанец ли татарин . . . . Мусульманин, христианин . . . .
Для войны же, между нами, не должно то быть причин.
Если есть уж БОГ на свете, то он у нас для всех один . . . .

Американец, африканец, европеец, азиат...
В обществе с единством в мысли, могут все счастливым стать.
И “утопией” сегодня, нам эти мысли не назвать.
Истину нам глубже вскрывши, можно громко всем сказать.
Каждый должен быть готовым, в нужном деле рядом встать...

И будь ты с запада, с востока, с севера или-же с юга,
Трудно будет продержатся, в трудный час, нам друг без друга.
Но, чтоб было не страшна нам, в будущем любая вьюга...
Должен быть готовым каждый, сделать в жизни всё для друга.
Человеком называться, быть достойным не так трудно...

Мир отпущенный нам Богом, никому не изменить.
И, остаётся только выбрать, хорошо иль плохо жить.
Жадность сделает богаче, но счастливее не быть.
Гармоничное единство, должен мир объединить.
И, понять, смысл нашей жизни, господа благословить...

Очамчирец.

„ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობა"
ყახლოს მომავალში გეგმავს წიგნის გამოცემას
„სამეგრელოს ლიტურგიკული ნაკრებები",
რის გამოც გამომცემლობამ დაიწყო აღნიშული
მასალების შეგროვება, რომლის მცირე ნაწილსაც ყოველ
ნომერში შემოგთავაზებთ.
წიგნში შევა ანა მარტო გამოქვეყნებული, ანამდე დღემდე
უცნობი მასალები.

რუბრიკის ავტორია დავით კიკოლაშვილი



მარტვილის ოთხთავი

მარტვილის ოთხთავი გადაწერილია 1050 წელს იოანე მესვეტის და არსენის მიერ, ივანე ფარჯანიანის დაკვეთით: „მე ივანე ფარჯანიანმა დავიწერე წმიდა ესე სახარება სალოცველად თავისა და სულისა ჩემისა და ძმათა და შვილთა ჩემთა". ამის ქვემოთ გადამწერნი მოიხსენიებიან: „დაიწერა წმიდა ესე სახარება ელითა ადიდენ ღმერთმან, იოვანე მესუეტისათა, ლოცვასა წმიდასა თქვენსა გვერდით... და მეც გლახ საწყალობელი სულითა არსენი ეშმს ძე ... იესუ ქრისტე, შეიწყალე საწყალი და მწარედ ცოდვილი არსენი მწერალი. ქრონიკონი იყო სო" (1050 წ.). იოანე მესვეტე ცხოვრობდა მარტვილის მონასტრის კოშკ-სვეტში, აქვე გადაუწერია მას აგიოგრაფიული კრებული 1030-1031 წლებში, ვახტანგ ფარჯანიანის შეკვეთით. ხელნაწერში ასოები შემკულია სტილიზებული ფოთლებით, ზოგი ასო თავადაა სტილიზებული ფოთლის მსგავსად გამოყვანილი.

სეფიეთი

სეფიეთი მდებარეობს აბაშის რაიონში. სოფელში, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას დგას მთავარანგელოზის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა. ეკლესია ორსართულიანი ყოფილა და აგებული უნდა იყოს V-VI საუკუნეებში. გვიან ფეოდალურ ხანაში იგი გადაუკეთებიათ. ნაშენია ქვითა და აგურით. დასავლეთით მიდგმული აქვს ეგვტერი, რომელიც XV-XVI საუკუნეებში მოუხატავთ ტაძრის ინტერიერთან ერთად. რელიგიური სიუჟეტების გარდა არის ისტორიულ პირთა, ადგილობრივი ფეოდალების — აბრამ ჭილაძის და ზოსიმე კოპლატაძის პორტრეტები. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, ზემოთ, ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებაა.

რუხი

რუხი მდებარეობს ზუგდიდის რაიონში. მდ. ენგურის მარცხენა ნაპირას დგას დიდი ციხის ნანგრევები. რუხი XVII-XVIII სს-ში ქალაქად იხსენიება, მისი გაქალაქება და სავაჭრო ცენტრად გადაქცევა ლევან II დადიანის სახელს უკავშირდება. მასვე აუგია 1647 წელს ციხე. ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებულია ციტადელი, აქ მდგარი კოშკი დონჟონს წარმოადგენს, მის გვერდით კიდევ ორი კოშკია. ციხის გალავანი 10 მ. სიმაღლემდე ყრუა, ზემოთ კი საბრძოლო ბილიკებია გამართული, მათი სიგანე 3-5 მეტრია. რუხის ციხე გვიან საუკუნეებში მრავალჯერ გამხდარა მტრის შემოსევის მომსწრე.

მარტვილის ჯვრები

მარტვილის მღვდელმთავრის გულსაკიდი ოქროს ჯვარი (14,3X10სმ), სანაწილე, VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. შიგნით მოთავსებულია „ძელი ჭეშმარიტის“ ჯვარი; შემკულია ძვირფასი თვლებით და მარგალიტებით. ჯვრის წინა მხარეზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით ხელში, მკლავებზე ოთხი მახარებლის — მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე — წელზედა ფიგურებია, ისინი ამოკვეთილია ოქროზე და მიმაგრებულია ოქროს ფონზე. ჯვრის მეორე მხარეს გამოსახულია „ჯვარცმა“, ქრისტეს მარჯვნივ ღვთისმშობელია ყრმით, მარცხნივ იოანე მახარებელი, ზემოთ და ქვემოთ მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი. ფიგურების შარავანდედი და ჯვარი შესრულებულია მინანქრით. მარტვილის სანაწილე ჯვარი ხელოვნების შედევრს წარმოადგენს. მარტვილის მეორე, მღვდელმთავრის გულსაკიდი ჯვარი X საუკუნეს განეკუთვნება (13,1X9,4 სმ). შიგნით ინახება წმიდანთა ნაწილები. წინაპირზე მინანქრის ჯვარია შუაში ძვირფასი თვლით, ზურგზეც ოქროს ჯვარის მაგვარი ფირფიტაა შუაში მდიდრული ქვით. ჯვრის გარშემო განთავსებულ მინანქრის რვა ჩარჩოდან მხოლოდ სამში არ ზის (დაკარგულია) ძვირფასი ქვა. ჯვრის მკლავებზე გამოსახულნი არიან: ზემოთ ღვთისმშობელი, ქვემოთ იოანე ოქროპირი, გვერდებზე წმ. დიმიტრი და წმ. ნიკოლოზი. მათგან მხოლოდ იოანე ოქროპირია გამოსახული მთელი ტანით.

შხეფი

შხეფის ციხე მდებარეობს სენაკის რაიონში, პატარა მთის თხემზე. ციხე ადრინდელ წყაროებში არსად არ გვხვდება, ვახუშტი ბატონიშვილი მას ასე მოიხსენიებს: „ხოლო ტეხურსა და აბაშის შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლეთის კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“. სავარაუდოდ, იგი V-VI საუკუნეებში უნდა იყოს აგებული და შემდგომში რამდენჯერმე აღდგენილი. გვიანფეოდალურ ხანაში შხეფი დადიანების ციხესიმაგრე ყოფილა. შემორჩენილია წარწერა, მაგრამ იგი მისი აგების თარიღის შესახებ არაფერს გვეუბნება: „კოშკი ესე კარის თუვალი შედან აღაშენა შეუნდვეს ღმერთმან. ვინცა თქვა შეუნდვეს ღმერთმან“. ციხე გრანდიოზულია და საფორტიფიკაციო ნაგებობების ბუნებასთან შერწყმის საუეკთესო ნიმუშს წარმოადგენს; იგი შედგება საცხოვრებელი დარბაზების, ცილინდრული კოშკის, პირამიდისებრი კოშკის, წყალსაცავი აუზისა და გალავნისაგან. ციხის გალავნის გარეთ XIX საუკუნემდე მდგარა კიდევ ერთი ოთხწახნაგოვანი პირამიდული კოშკი. ციხე ადრეფეოდალურ ხანას რომ განეკუთვნება, ამას მოწმობს ის საამშენებლო მასალა რომლითაც ნაგებია ერთ-ერთი დიდი კოშკი და გალავნის ნაწილი. ციხეში ყურადღებას იქცევს ძველი წყალსადენი, იგი აღმართში წყლის აყვანის საინტერესო ხერხს წარმოადგენს. გალავნის გარეთ, პირამიდული კოშკის უკან არის დაახლოებით 6 მეტრის სიღრმის ჭა, რომელიც, გადმოცემით, დილეგად გამოიყენებოდა.

„იუდა სულიერი ქალი“-მეჩი

მერის მამა, გენერალ-მაიორი **პროკოფი შერვაშიძე,** აფხაზეთის თავადი, შემდეგ კი რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი იყო. მერი ბათუმში დაიბადა, თუმცა მამის სამსახურის გამო ოჯახი პეტერბურგში გადასახლდა, სადაც მერი იმპერატრიცას ფრეილინა გახდა.

პროკოფი შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახი ძირითადად ქუთაისში ცხოვრობდა. 1918 წელს მერის საქმრო გიგუშა ერისთავი (გიორგი ქსნის ერისთავი), რომელიც იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ადიუტანტი იყო, საქართველოში დაბრუნდა, რათა ცოლად შეერთო მერი. 1921 წელს, როდესაც საქართველოს ბოლშევიკების მიერ აღებამდე რამდენიმე დღე რჩებოდა, მერი ბათუმიდან გემით საფრანგეთს გაემგზავრა. გემი რამდენიმე დღით შეჩერდა სტამბოლში, სადაც მერის უკვე დევნილი ქმარიც შეუერთდა. სწორედ სტამბოლში გაიმართა მსოფლიო სილამაზის კონკურსი, რომელშიც მერიმაც მიიღო მონაწილეობა და მოიგო კიდეც.

მერი იყო მაღალი, არცთუ გამხდარი, შავი, მაყვლისფერი თვალებითა და წაბლისფერი თმებით. გადმოცემით არასოდეს იცინოდა, მხოლოდ იღიმებოდა. მას ჰყავდა მეგობრების ვიწრო წრე, მაგრამ ვინც მას იცნობდა, აფასებდა მისი თავმდაბლობისათვის, უბრალოებისა და დიდსულოვნებისათვის.

პარიზში მერი შერვაშიძე მე-16 უბან რიუ-დე-ლა-ტურში დასახლდა, ბულონის ტყესთან ახლოს. თავდაპირველად მერის ოჯახს ცოტა გაუჭირდა. მერის დედა, ნინო მხეიძე და მერის ტყუპი დები ელენე და თამარი მერისთან ერთად ცხოვრობდნენ. ნინომ მალე იპოვა სამუშაო კარგად ცნობილ სამკერვალო სახელოსნოში. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ მოახერხეს საკუთარი სახელოსნოს გახსნა. სწორედ ამ დროს ხდება მერი კოკო შანელის მოდელი. ამ საქმეში გაწაფულმა პარიზელებმა განსაკუთრებულად აღიქვეს მისი ჩაცმის სტილი და საკუთარი სილამაზის მისეული გადმოცემის ხერხი.

გიგუშა ერისთავი ახალგაზრდა გარდაიცვალა, ისე რომ შვილი არ ჰყოლია. ხანდაზმული მერი პარიზში ლატურის ქუჩაზე სრულიად მარტო ცხოვრობდა. იშვიათად ეკონტაქტებოდა ქართველ ემიგრანტებს, იშვიათად ქართულ ეკლესიაშიც შეივლიდა ხოლმე. მერი შერვაშიძემ სიცოცხლის ბოლო წლები, მოხუცთა თავშესაფარში გაატარა. ეს არ იყო მიუსაფართა სახლი, მშვენიერ ქალბატონს იქ მოახლეც კი ჰყავდა. ხოლო საკუთარ ბინაში ლატურის ქუჩაზე, მეგობრებთან ერთად მიდიოდა

მერის მამა, გენერალ-მაიორი პროკოფი შერვაშიძე

ელენე, მერი და თამარ შერვაშიძეები

დრო და დრო და ბანქოს თამაშობდა. როგორც მერის უახლოესი მეგობარი ბაბო დადიანი იხსენებდა, მერის სახლში სიცოცხლის ბოლომდე ეწყო ნაცნობ თუ უცნობ თაყვანისმცემელთა მიერ გამოგზავნილი ყვავილები.

მერი მოხუცებულთა თავშესაფარში 97 წლის ასაკში გარდაიცვალა. გადმოცემით, ის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ინარჩუნებდა სილამაზესა და მშვენიერებას. ბაბო დადიანის თხოვნით კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მერი შერვაშიძეს პანაშვიდი საქართველოში, სიონის ტაძარში გადაუხადა.

ერთ-ერთი ვერსიით 1935 წელს გალაკტიონ ტაბიძემ შემთხვევით ნახა მერი პარიზში. მერი ლუვრის წინ იჯდა და მომაჯადოებლად ლამაზად გამოიყურებოდა. მოხიბლულმა გალაკტიონმა სწორედ მას შემდეგ მიუძღვნა მერის განთქმული ლექსი.

თვით გალაკტიონი მერის შესახებ ასე წერდა:

მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ჩემი ლექსი „მერი“, ძალიან ხშირად მკითხავდნენ, თუ ვინ იყო ეს მერი, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი პასუხზე. როგორც პოეტი, მე ვსარგებლობდი უფლებით თითოეული ლექსისთვის დამერქმია ის სახელი, რომელიც მსურდა. ერთხელ მე ამის გამო გულიც კი მომივიდა. თითქმის გაცოფებაში მოვედი და ამხანაგებმა გაიგეს, რომ მეტი აღარ შეიძლება მათი ჩაცივება. მერი კი.. ალბათ, არსებობდა. იყო ასეთი ქალი!“

მერი შერვაშიძე

ამბავნი

მე —20 საუკუნის დასაწყისი. სოხუმი. აფხაზი და მეგრელი თავადები ქეიფობენ

სოხუმის თავი გრიგოლ შარვაშიძე ნათესავებთან. გრიგოლ დადიანი,ვარლამ ანჩაბაძე, და სხვები

„ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობა“

გთავაზობთ

წიგნების ბეჭდვა

ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა

აწყობა, დიზაინი, დაკაბადონება

მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
მე-2 სართ.
599746810
790746810